ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## რას გულისხმობს ეროვნული შეფასება სკოლებში და ჩაანაცვლებს თუ არა ის ეროვნულ გამოცდებს?

გვ.4



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 13 დეკემბერი, 2023 №245 (9281) ფასი: 80 თეთრი

# „გახარიას ნაცებიც და „ოცნებაც“ ჩაძირავენ“



გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ზოგიერთებს ივანიშვილი ერთი ჩვეულებრივი ფულიანი კაცი ჰგონიათ, მაგრამ ცდებიან, ვერ ხვდებიან, სინამდვილეში ეს კაცი რა ძალიან შორს იყურება“



## „ნიკა მელიას პარტიას ჩვენთან ვეპატიჟებით“



გვ.2

იაგო ხვიჩია: „პრეზიდენტი არის ქოცების დანამატი და ის არაფერს არ გააკეთებს ბიძინა ივანიშვილის ინტერესების საწინააღმდეგოდ“

## „ქართული ოცნება“ ძალიან ნუ გაყოყოჩდება“

ლევან ალაფიშვილი: „საზოგადოებაში დუღილის პროცესი შეინიშნება. ისე არ არის, რომ ხალხი მზად არის ყველაფერს შეეგუოს“



გვ.3

## მშვიდობიანი შეთანხმება მომწიფდა

ვინ ვის შეიძლება შეეჯახოს სამხრეთ კავკასიაში




გვ.4



## ბათუმში საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრი გაიხსნა

გვ.2

ისტორიები



## რატომ თქვა ჟორდანიამ საქართველოში დაბრუნებაზე უარი?

გვ.5

მედიცინა

## ზღვაზე ლაქი არ წაისვათ



თაღლითმა მასზე შეყვარებულ გოგონას სოლიდური თანხა გამოსტყუა გვ.6

1993230720223

3 ქობულეთში არასრულწლოვანს პიროტექნიკა საწვავში ჩაუვარდა

6 ჩეხეთში რუსეთთან ომს არ გამორიცხავენ

3 პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის ფაქტზე 14 პირი ამხილეს

6 ბაიდენი: „ტრამპი დემოკრატიისათვის საფრთხეს წარმოადგენს!“

# „ნიკა მელიას პარტიას ჩვენთან ვეპატიჟებით“

## იაგო ხვიჩია: „პრეზიდენტი არის ქოცების დანამატი და ის არაფერს არ გააკეთებს ბიძინა ივანიშვილის ინტერესების საწინააღმდეგოდ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.



***– იაგო, სოციოლოგიური კვლევები გამოქვეყნდა და დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში. „ქართული ოცნება“ – 19%, ნაცმოძრაობა – 4%. რას გვეუბნება ეს ციფრები, რომ შესაძლოა ქვეყანაში ორპოლუსიანობა დასრულდეს?***

– ჩემი აზრით, ეს ციფრები არაფერს არ გვეუბნება. თუ ყურადღებით წავიკითხავთ ამ კვლევას, თვითონ კვლევის ავტორები გვეუბნებიან, რომ ეს კვლევა არაფერს არ გვეუბნება. იქიდან გამომდინარე, რომ სულ გამოიკითხა ორი ათასი ადამიანი. ამ ორი ათასი ადამიანიდან, 72%-მა საერთოდ უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე. ანუ 28%, ვინც კვლევაში მონაწილეობა მიიღო, იმისმა 66%-მა საერთოდ უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე თუ ვის აძლევს ხმას. წარმოიდგინეთ, ამ ორი ათასი კაციდან, საბოლოო ჯამში, ორასმა კაცმა გითხრა რალაცა, როგორ შეიძლება, ამ კვლევას რაიმე რეპუტაცია ჰქონდეს. ეს ორასივე კი გეუბნება, ქოცი ვარო, არც ეშინია და დასამალიც არაფერი აქვს, რადგან „ქართულ ოცნებას“ უჭერს მხარს. ასე ჩატარებული კვლევა, ახლა რაც მე თქვენ გითხარით, როგორ შეიძლება რეპუტაციული იყოს?!

***– როგორი რეალობა გვაქვს დღეს? ფიქრობთ, რომ მეტი მხარდაჭერა აქვთ ან ერთს, ან მეორეს?***

– არ ვიცი, ამას ვერ გეტყვით, თუმცა ეს კვლევა არაფერ შუაში არ არის. ზოგადად, კვლევა ასე არ ტარდება და ასე ჩატარებულ კვლევას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა.

***– ნაციონალური მოძრაობა ისედაც მძიმე მდგომარეობაშია. არაა გასაკვირი ამ პარტიის რეიტინგის ვარდნა. ნიკა მელია და მისი მომხრეებიც წამოვიდნენ პარტიიდან. რა პერსპექტივა აქვს მელიას და ამ პროცესს როგორ აფასებთ?***

– წამოსვლა გასაგებია, მაგრამ მე ვერ ვხედავ გზას, თუ სად მიდის ეს ხალხი?! რით განსხვავდება მელიას პარტია ნაციონალური მოძრაობისგან?! სადაც ამ ხალხს ეპატიჟებიან. ან რა პრობლემებთან გვაქვს საქმე, რამაც ეს პროცესები განაპირობა ნაციონალურ მოძრაობაში. მე მგონი, ამ კითხვებზე საჯაროდ პასუხის გაცემის გარეშე, პერსპექტივას მე დიდად ვერ ვხედავ. თუმცა წარმატებას ვუსურვებ მელიას.

***– ექსპერტთა ერთი ნაწილი საუბრობს, რომ დღეს ძალაუფლება ქუჩაში გდია, უბრალოდ, უნდა დაიხაროს ოპოზიცია და აიღოსო. აქვს ოპოზიციას ძალაუფლების აღების შანსი? როგორ გამოიყურება დღეს ოპოზიცია?***

– ოპოზიციას აქვს ის პრობლემა, რაც აქამდეც ჰქონდა. ვის რა უნდა ოპოზიციაში, ეს არ არის ღია და საჯარო, ეს არ არის გასაგები ადამიანებისთვის. ფაქტობრივად, არ არის ისეთი დაპირება მიწოდებული ადამიანებისთვის, რომელიც მომხიბვლელი იქნებოდა და ამ ადამიანებს დარაზმავდა და არჩევნებზე მიიყვანდა. მე ვფიქრობ, რომ ჯერ ამ იდეის ფორმირების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს. დღეს ოპოზიცია თუ რამეს არასწორად აკეთებს, აკეთებს იმას, რომ აი ამ პროცესში, სათანადო სერიოზულობით არ იღებს მონაწილეობას. მათ მთავარი ამბავი ჰგონიათ არა ის, თუ როგორ ქვეყანას შესთავაზებენ საზოგადოებას, არამედ ხმამაღლა და ემოციურად იყვირონ, რომ ახლა „ქოცები“ დავამხოთ და მერე ყველაფერი კარგად იქნება. მე ეს არ მგონია წარმატების ფორმულა!

***– რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ არჩევნებამდე და სად არის ეს წარმატების ფორმულა?***

– ოპოზიციამ უნდა წარმოიდგინოს ის ქვეყანა, რომელსაც ააშენებდა, ხელს რომ „ქოცები“ არ უშლიდნენ. ასევე უნდა წარმოიდგინოს ასეთი ქვეყნის კონტურები, იქნება ეს პოლიციის მიმართულებით, სასამართლო სისტემის, ეკონომიკის, განათლების და ასე შემდეგ. სანამ ჩვენ კონკრეტულად ამას არ ვეტყვით საზოგადოებას, მანამდე მე ძალიან მეეჭვება, რომ პერსპექტივა მხოლოდ ემოციურ ლაპარაკს ჰქონდეს.

***– ნიკა მელიას წამოსვლაზე ვსაუბრობდით და უნდა გკითხოთ, არის შანსი თქვენი პარტიის მასთან თანამშრომლობის?***

– რასაკვირველია, თანამშრომლობას ჩვენ არავისთან არ გამოვრიცხავთ. პირიქით, ჩვენთანაც კი ვეპატიჟებით, თუ ცალკე პარტიით არ გადაწყვეტს ეს ხალხი გასვლას. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ხალხს ვეძებთ, განსაკუთრებით, რეგიონებში გვჭირდება ხალხი. ის ხალხი, ვინც ამდენი ხანია ოპოზიციაში იყო და მიუხედავად ამდენი ზეწოლისა და შანტაჟისა, „ქართული ოცნებისკენ“ არ გადამხტარა, ჩემი აზრით, ძალიან ღირებული აქტივია ნამდვილი ოპოზიციური პარტიებისთვის. ჩვენ გვინდა ამ ხალხს დაველოდოთ, რას აპირებს, რა მიმართულება აქვთ აღებული და საით მიდიან.

***– რას იტყვით გიორგი გახარიაზე? საუბარია, რომ ის დამოუკიდებელ თამაშს აპირებს და ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიციიდან 5%-იანი ბარიერის გადალახვის ყველაზე დიდი შანსი მას აქვსო.***

– ჩემი აზრით, ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დარჩება საარჩევნო კამპანიაში, ბატონი გახარია და მისი პარტია. ამ ტემპით, რაც ახლა აქვთ მათ აღებული, მე არ მჯერა, რომ ისინი ბარიერს გადალახავენ. თუმცა, რასაკვირველია, შანსი აქვთ.

***– ხელისუფლების აქტიურ კრიტიკაზე გადავიდა გახარია და მისი გუნდი. კორუფციაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ საპირისპირო კითხვებიც ისმის, სად იყვნენ აქამდე?***

– მე მგონია, რომ მაინცდამაინც ბევრი არაფერი არ უთქვამთ, ჯერჯერობით პოლიტიკური განცხადებებია და ჩემი აზრით, ბევრად მეტის თქმა შეუძლია. გახარიას საუბრიდან ასე ვიგებთ, რომ ის ბიძინა ივანიშვილის გამო წავიდა თანამდებობიდან, რადგან ივანიშვილი რჩებოდა არაფორმალურ მმართველად, ამის გამო წავიდა პოლიტიკიდან. კაცი პრემიერი იყავი და მეტი რა თანამდებობა გჭირდება იმისთვის, რომ არაფორმალურ მმართველობას დაუპირისპირდე ინსტიტუციურად?! პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე უფრო დიდი თანამდებობა რა არის? მე ვფიქრობ, რომ ეს მომენტი მას განსაკუთრებით ასახსნელი აქვს. ახლაც რომ აირჩიოს ხალხმა, მისცეს შესაძლებლობა, რომ იყოს ქვეყნის სათავეში, ახლაც ხომ არ წავა პროტესტის ნიშნად თანამდებობიდან?! მან უნდა უპასუხოს ამ კითხვას. ამას გარდა, ბევრი კითხვაა დაგროვილი, რომელსაც საარჩევნო კამპანიის პროცესში უნდა გაეცეს პასუხი.

***– თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს? უნდა მოხდეს წვრილ-წვრილი პარტიების ერთობა, რამდენიმე ცენტრი უნდა შეიქმნას? ასევე, როგორი იქნება პრეზიდენტის როლი ამ ყველაფერში? ბევრი მასზე დიდ იმედებს ამყარებს.***

– მე მგონია, რომ პარტიები უნდა დაჯგუფდნენ მათი შინაარსის მიხედვით. მაგალითად, ყველა ნაცური პარტიები ერთად უნდა შეგროვდეს და ყველა ხუთი ნომრით უნდა გავიდეს. შინაარსი როცა განსხვავებული არა გაქვს, გამოდის, რომ შენ თვითონ ყოფ ამომრჩევლის ხმას. შესაბამისად, ქოცები, ნაცები, ეს ორი პარტია უკვე ვიცით, მესამე მხარე იქნება გირჩი, რომელიც ეცდება, რომ დამოუკიდებლად შევიდეს ამ თამაშში და რალაცნაირად ადამიანებს აჩვენოს ის განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენსა და სხვა პოლიტიკურ ძალებს შორის.

***– პრეზიდენტის როლზე რას იტყვით?***

– პრეზიდენტი არის ქოცების დანამატი და ის არაფერს არ გააკეთებს ბიძინა ივანიშვილის ინტერესების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, მე დიდი იმედი არა მაქვს ამ ბრძოლაში სალომე ზურაბიშვილის.

***– ორ დღეში კანდიდატის სტატუსზე საბოლოო გადაწყვეტილებას ველოდებით. თუმცა შეშფოთების მიზეზი მაინც გვაქვს ორბანის პოზიციიდან გამომდინარე. შეუშლის ამ პროცესს ხელს, რას ელოდებით?***

– ვერ გეტყვით. ძალიან ცოტა დროა დარჩენილი და დაველოდოთ, რაც იქნება. დღეს გაკეთებული განცხადებები, უმადური საუბარი გამოვა ნებისმიერ შემთხვევაში. ამ პროცესს ოპტიმისტურად ვუყურებ, თუმცა 100%-ით დარწმუნებული ვერ ვიქნებით, სანამ არ მივიღებთ.

## „არჩევნების შემდეგ კანონის მთელი სიმკაცრით უნდა გაეცეს პასუხი“

ირაკლი კობახიძე კრიტიკულ მედიას დაემუქრა. კობახიძეს ივანიშვილის ბაობაბებთან დაკავშირებით, ტელეკომპანია „ფორმულას“ რეპორტაჟები არ მოსწონს და აცხადებს, რომ „ამ ნაცურ სითავხედეს“, არჩევნების შემდეგ გაეცემა პასუხი:

– ეს კორუმპირებული მძარცველი [დავით კეზერაშვილი] ბიძინა ივანიშვილზე აკეთებს სიუჟეტს, მის ერთ-ერთ საქველმოქმედო პროექტთან დაკავშირებით. ეს არის ჩვეულებრივი ნაცური თავხედობა, ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ცოტა ლოიალურად ვუყურებდით ამ ნაცურ თავხედობებს, მაგრამ არჩევნების შემდეგ კანონის მთელი სიმკაცრით უნდა გაეცეს პასუხი, – თქვა კობახიძემ.

შეკითხვაზე, რას ნიშნავს ეს განცხადება და არის თუ არა ეს მუქარა, ის პასუხობს – „არჩევნების მერე გაიგებთ“.

## სალომე სამადაშვილი: „ზარქუას სულ მინდა ვკითხო, ძალიან მკაცრად აფასებს ჩემ დიპლომატიურ კარიერას, ჩემი გამოზრდილი კადრების გარდა, რატომ ვერავის პოულობს „ქართული ოცნება“?



– ზარქუას ირაკლი სულ მინდა ვკითხო, ძალიან მკაცრად აფასებს ჩემ დიპლომატიურ კარიერას, ჩემი გამოზრდილი კადრების გარდა, რატომ ვერავის პოულობს „ქართული ოცნება, – ამის შესახებ „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, სალომე სამადაშვილმა განაცხადა.

სამადაშვილის შეფასებით, ცუდი ხელმძღვანელის ხელში კარგი კადრები არ იზრდებიან.

– უფლება მაქვს მინისტრი (თეა ახვლედიანი) მკაცრად შევაფასო, იმიტომ, რომ მინისტრი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ჩემთან, როგორც ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ბოჭორიშვილი, ასევე ევროკავშირში დღევანდელი ელჩი მახარობლიშვილი. ზარქუას სულ მინდა ვკითხო, ძალიან მკაცრად აფასებს ჩემ დიპლომატიურ კარიერას, ჩემი გამოზრდილი კადრების გარდა, რატომ ვერავის პოულობს „ქართული ოცნება“? ან ევროინტეგრაციის, ან კონფლიქტის დარეგულირების მიმართულებით დაასაქმოს, იმიტომ, რომ ცუდი ხელმძღვანელის ხელში, კარგი კადრები არ იზრდებიან, – განაცხადა სამადაშვილმა.

მისივე თქმით, „ქართულ ოცნებას“ უწიგნური და გაუნათლებელი შემადგენლობა ჰყავს.

– ზარქუა უვიცია. „ქართულ ოცნებას“ უწიგნური და გაუნათლებელი შემადგენლობა ჰყავს, ამიტომ ის ვერ მიხვდა, დღეს მე რა ვუთხარი, როდესაც ცრუ წინასწარმეტყველი ვუწოდე. ზარქუას, რა თქმა უნდა, წიგნი არ აქვს წაკითხული და მით უმეტეს, ბიბლია და ბიბლიურ მეტაფორას ვერ მიხვდებოდა. რომ განვმარტო, ცრუ წინასწარმეტყველები იყვნენ ხალხი, რომლებიც ამბობდნენ, რომ არაფერი საფრთხე არ ემუქრება იერუსალიმს, შესაბამისად, ადამიანებს უჩენდნენ ცრუ დაცულობის განცდას. როდესაც ცრუ განცდა გაქვს, რომ საფრთხე არ გემუქრება, მაშინ ხარ ყველაზე დაუცველი. უსაფრთხოდ უნდა ვიგრძნოთ თავი იმ გამოწვევების წინაშე, რომელიც ჩვენ გარშემოა თუ სიმართლე ვუთხრათ ადამიანებს, რომ დიახ, ჩვენ ვართ დიდი გამოწვევების წინაშე, – განაცხადა სამადაშვილმა.

ამასთან, სამადაშვილის შეფასებით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მინისტრის, თეა ახვლედიანის პლენარულ სხდომაზე გამოსვლა სუსტი იყო.

– რეალობა არის ის, რომ ძალიან სუსტი იყო ახვლედიანის გამოსვლა. ჩვენ ვართ გეოპოლიტიკურ ქარ-ცეცხლში და როდესაც ასეთი გეოპოლიტიკური ძვრები მიმდინარეობას შენ გარშემო, ეს აჩენს ახლა შესაძლებლობას და როდესაც მინისტრი მოდის პარლამენტში, რაღაც სტრატეგიას უნდა გვაცნობდეს.

პირველ რიგში, მინისტრმა თვითონ არ იცის, რა არის თავისი ამოცანა, იმიტომ, რომ 2021 წლის შემდეგ მუშაობენ კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების სტრატეგიაზე და ეს დღემდე ვერ დაამთავრეს, ამიტომ არ იცის და რაც არ იცის, იმაზე რა უნდა თქვას. დღევანდელ ხელისუფლებას არანაირი ხედვა არ აქვს, – განაცხადა სამადაშვილმა.

## ბათუმში საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრი გაიხსნა



შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, მოადგილესთან, გიორგი ბუთხუზთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან – თორნიკე რიჟვაძესთან და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, აჭარაში, ქალაქ ბათუმში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი გახსნა.

შინაგან საქმეთა მინისტრი სერვისცენტრის თანამშრომლებს გაესაუბრა და მათ საქმიანობაში წარმატება უსურვა. ვახტანგ გომელაურმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს ახლად გარემონტებული შენობაც დაათვალიერა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისადაა მოწყობილი.

ბათუმში ერთიანი მომსახურების ცენტის გახსნა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების გაძლიერებასა და საპოლიციო სერვისებზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავს მიზნად.

მოქალაქეები 50-მდე საპოლიციო მომსახურებას ერთ სივრცეში მიიღებენ. მათ შორის: ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების გაუქმებას ან ჯარიმით შეცვლას, ნაპოვნი სანომრე ნიშნის მიღებას, სპეციალურ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალების გაყვანაზე თანხმობას და სხვა.

საპატრულო პოლიციის თანამედროვე საპოლიციო სერვისცენტრი აღჭურვილია ვიზიტორთა რიგის მართვის, ელექტრონული ხელმოწერისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებით, ასევე, დანერგილია განაცხადების ელექტრონული ფორმით მიღების სისტემა.

შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი თბილისში, რუსთავში, მცხეთაში, გორსა და ბათუმში უკვე ფუნქციონირებს და სამომავლოდ საქართველოს სხვა ქალაქებშიც გაიხსნება.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## სამართალი

### ბრალდებულის გადაწყვეტილებით, 14 წლის აითაჯ შახმაროვას მკვლელობის საქმეს ნაფიცი მსაჯულები არ განიხილავენ



14 წლის აითაჯ შახმაროვას მკვლელობის საქმეს ნაფიცი მსაჯულები არ განიხილავენ. ეს გადაწყვეტილება თავად მკვლელობაში ბრალდებულმა მიიღო.

თელავის რაიონული სასამართლოში 14 წლის შახმაროვას მკვლელობის საქმის წინასასამართლო სხდომა ცოტა ხნის წინ დასრულდა.

პროცესის დასრულების შემდეგ ადვოკატმა განაცხადა, რომ ბრალდებული არც ერთ ეპიზოდში თავს დამნაშავედ არ ცნობს და 28 წლის კაცის გადაწყვეტილებით, საქმე ნაფიც მსაჯულებს არ გადაეცემათ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმის ერთ-ერთი ეპიზოდი სქესობრივ დანაშაულს ეხება, პროკურატურის შუამდგომლობით სხდომა დახურულია.

საქმე ეხება 14 წლის მოზარდს, აითაჯ შახმაროვას, რომელიც, გამოძიების ინფორმაციით, სოფელ ლამბალოში 6 ოქტომბერს მოკლა კაცმა, რომელმაც რამდენიმე თვით ადრე იძულებითი ქორწინების მიზნით მოიტაცა. მოზარდის წინააღმდეგობის და სახლიდან რამდენჯერმე გაქცევის მცდელობის შემდეგ კი მოკლა და მიიმალა. საქმის ფარგლებში ახლა სულ ხუთი პირია დაკავებული.

### სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის ფაქტზე 14 პირი ამხილა



სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2023 წლის მიმდინარე პერიოდში, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტებზე 14 პირი ამხილა, მათგან 5 დააკავა.

ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, არასრულწლოვანი გოგონების პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე დაკავებულია 1995 წელს დაბადებული ლ.შ.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ წალკის რაიონში მცხოვრებმა ბრალდებულმა, სოციალურ ქსელში ყალბი გვერდი შექმნა, რომლის გამოყენებითაც 2023 წლის მაისსა და სექტემბერში კომუნიკაცია სამ არასრულწლოვან დაზარალებულ გოგონასთან დაამყარა. ბრალდებულმა არასრულწლოვნების ნდობა მოიპოვა, რის შემდეგაც მოტყუების და იძულების ხერხით, გადააღებინა და გადააგზავნინა ინტიმური შინაარსის ფოტოები და ვიდეოები. მათ შორის, ორი დაზარალებული არასრულწლოვნისგან გაგზავნილი ინტიმური შინაარსის ფოტო საჯაროდ განათავსა მის მიერ შექმნილ სოციალური ქსელის ყალბ გვერდზე, აღნიშნული გზით დაზარალებულებს დამატებით ინტიმური შინაარსის ფოტო/ვიდეო მასალის გადაღება და გადაგზავნა აიძულა.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებული ლ.შ. დააკავა და მას ბრალდება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისთვის წარედგინა. დანაშაული 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა არასრულწლოვანი დაზარალებულის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის კიდევ ერთი საქმე გახსნა და დანაშაულში 3 პირი ამხილა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წლის ივლისში, სამეგრელოს რეგიონში, სკოლის მოსწავლე გოგონამ „ფეისბუქ მესენჯერ"-ის საშუალებით, ნაცნობ 14 წლის ბიჭს საკუთარი ინტიმური შინაარსის ფოტოსურათები და ვიდეო გადაუგზავნა, რომელმაც თავის მხრივ აღნიშნული მასალა მის ორ მეგობარს გაუზიარა.

დანაშაულში გამოვლენილი 3 არასრულწლოვნის ქმედების შედეგად, დაზარალებული გოგონას ინტიმური შინაარსის ფოტო მის კლასელებში გავრცელდა, რითაც დაირღვა მისი პირადი ცხოვრების საიდუმლო.

რაც შეეხება დანაშაულში მხილებულ დანარჩენ 10 პირს, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს, როგორც ნაცნობ, ასევე, სოციალური ქსელის მეშვეობით გაცნობილ დაზარალებულებთან ურთიერთობა სხვადასხვა დროს ჰქონდათ. ისინი დაზარალებულების პირადი ცხოვრების ამსახველ ინტიმურ ფოტოებსა და ვიდეოებს მობილური ტელეფონებითა და სოციალური ქსელებით მოიპოვებდნენ და ასევე, სხვადასხვა სოციალური ქსელის გამოყენებით დაზარალებულების ახლობლებსა და სხვა პირებს უგზავნიდნენ. აღნიშნული ქმედებებით მათი პირადი ცხოვრების საიდუმლოება დაირღვა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებულების მომართვის შემდეგ, მათი კონფიდენციალურობის სრული დაცვით, საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების ჩატარება მოკლე დროში უზრუნველყო.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტების აღსაკვეთად და არასრულწლოვნების ცნობიერების ასამაღლებლად მუშაობას აქტიურ რეჟიმში აგრძელებს.

სამსახურში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი – 199, სადაც ყველა დაზარალებულ პირს შეუძლია დატოვოს შეტყობინება ან მიმართოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ოფისებს.

### ქობულეთში არასრულწლოვანს პიროტექნიკა საწვავში ჩაუვარდა

ქობულეთში ბავშვს პიროტექნიკა ბენზინში ჩაუვარდა და აფეთქდა, – ინფორმაციას რეგიონული გამოცემა „აჭარა თაიმსი" ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, შემთხვევა ცოტა ხნის წინ, სოფელ მუხაესტატეში მოხდა. 12 წლამდე ბავშვს სხეულზე დაზიანებები აქვს და ის რეანიმობილით თბილისში გადმოიყვანეს.

# „გახარიას ნაცებიც და „ოცნებაც" ჩაძირავენ"

## თორნიკე შარაშენიძე: „ზოგიერთებს ივანიშვილი ერთი ჩვეულებრივი ფულიანი კაცი ჰგონიათ, მაგრამ ცდებიან, ვერ ხვდებიან, სინამდვილეში ეს კაცი რა ძალიან შორს იყურება"

ნონა ცაბაძე



**„ახალი თაობის" კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, ორ დღეში საბოლოო გადაწყვეტილებას ველოდებით კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. რა მოლოდინი გაქვთ? ორბანის პოზიცია რამეს ხომ არ შეცვლის?***

– ორბანი ჩვენი წინააღმდეგი არ არის, ორბანი უარს ამბობს, რომ უკრაინასთან გაიხსნას მოლაპარაკების პროცესი.

***– რადგან ერთ კალათაში მოვიაზრებით, ეს ჩვენც ხომ არ დაგვაბრკოლებს?***

– კანდიდატის სტატუსი არის კარგი ეტაპი, მაგრამ გაწევრიანება ჯერ ძალიან შორს გვაქვს. მთავარია, რომ საკითხი დაძრულია, ადრე თუ გვიან, მაინც იქნება. რეალისტურად რომ ვთქვათ, ზღაპრების გარეშე, ჩვენი გაწევრიანება ალბათ 7-8 წელიწადში იქნება.

***– „ოცნება" დარწმუნებულია, რომ სტატუსს მოგვცემენ.***

– რომც არ მივიღოთ სტატუსი, უკვე „ოცნებას" ველარ დააბრალებენ. დაბრალდება ორბანს და გარე ფაქტორებს. მეც ვფიქრობ, რომ მაინც მოგვცემენ სტატუსს.

***– ბოლო პერიოდის კვლევებს თუ გადავხედავთ, საკმაოდ დაბალია როგორც „ქართული ოცნების", ისე ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი. საკმაოდ მაღალია მოსახლეობის ის ნაწილი, ვისაც არ აქვს გადაწყვეტილი, ვის მისცეს ხმა. ფაქტია, რომ ხალხს არსებული ოპოზიცია არ მოსწონს. ვის რა შანსები აქვს?***

– აქამდე თუ ვერაფერი შეძლო ოპოზიციამ, ახლა რა უნდა შეძლოს, ჩემთვის გაურკვეველია. ერთ წელიწადში გარდაიქმნება ეს ხალხი?! ამ ოპოზიციას, რასაც ჩვენ ბოლო სამი წელია ვხედავთ, მე მგონი, არანაირი შანსი არა აქვს. ბოლო სამ წელიწადში, რეალურად, ოპოზიციის სრული დეგრადაცია მოხდა. პირველ რიგში კი, ეს გამოიწვია მათმა არათანმიმდევრულმა ქმედებებმა. მოლოდინების შექმნამ და ვერ შესრულებამ, ხალხის ქუჩაში ვერ გამოყვანამ, ამ პროცესებმა მათი პოლიტიკა მთლიანად გააუფასურა. არაფერი ახალი სათქმელი ამომრჩეველთან მათ აღარ დარჩათ. კიდევ ერთი, რეალურ პრობლემებზე ისინი არ საუბრობენ. ისე იქცევიან, თითქოს აქ სტუმრად ჩამოსული არასამთავრობო ორგანიზაციების ტრენერები იყვნენ. აი ეგაა ოპოზიციის მთავარი პრობლემა.

***– რამ შეიძლება გამოასწოროს ოპოზიციის რეიტინგი?***

– ამაზე თავად უნდა იფიქრონ და ბევრი იმუშაონ, ხალხთან უნდა ჰქონდეთ კონტაქტი და ურთიერთობა.

***– ნაცმოძრაობას რაც დაემართა, ეს რის ან ვისი ბრალია? ნიკა მელიამ ბოლოს და ბოლოს დატოვა ეს პარტია. რა ბედი ელის ნომერ ხუთს და რა შანსები აქვს ნიკა მელიას?***

– მელია თუ სადმე არ გაერთიანდა, თუ ერთ მშვენიერ დღეს, მიხეილ სააკაშვილმა ციხიდან არ შემოუთვალა, მელიას დაუჭირეთ მხარიო, არა მგონი, რამე მომავალი ჰქონდეს. თუმცა მეეჭვება, მიშამ ეგ შემოთვალოს.

სააკაშვილი ჯერ ჩუმადაა, გადაჭრით არ უთქვამს, ვის მხარესაა. დარწმუნებული ვარ, მიშა წინააღმდეგი იყო გაყოფის. გამარჯვების ფორმულა არის ერთიანობაში. ასე რომ, ის განხეთქილების წინააღმდეგია. ეჭვი მაქვს, ნაცმოძრაობის არც ახალი თავმჯდომარე ეხატება გულზე, მაგრამ რას იზამს, მის ხელში აღარ არის მართვის სადავეები. კი, რეიტინგი მის ხელშია, მაგრამ ფული მის ხელში აღარაა. ხოლო ფული ვისაც ჰქონდა, ვგულისხმობ კეზერაშვილს, მან მხარი ხაბეიშვილს დაუჭირა.

***– თუმცა კეზერაშვილის არაფორმალურმა მმართველობამ, არ გაამართლა. პარტია ცუდ დღეშია.***

– როგორც ჩანს, კეზერაშვილს ჰქონდა მოლოდინი, რომ თუ ივანიშვილმა შეძლო ეს, მეც შევძლებო. თუმცა სწორედ ესაა მათი პრობლემა, ზოგიერთებს ივანიშვილი ჰგონიათ ერთი ჩვეულებრივი ფულიანი კაცი, მაგრამ ცდებიან, ვერ ხვდებიან, სინამდვილეში ეს კაცი რა ძალიან შორს იყურება. ამათმა ვერ გაიგეს აქამდე, რომ არ არის ასე მარტივი ადამიანი ივანიშვილი.

***– ოპოზიცია რა დღეშიც არის ახლა, ეს ივანიშვილის დამსახურებაა?***

– ივანიშვილის კი არა, მათი ბრალია. დააბრალონ თავის თავს. ყველაფერს ივანიშვილს ხომ ვერ დავაბრალებთ. 2020-ში ივანიშვილმა დააკავა და არ შეუშვა პარლამენტში? ან მერე, მან უთხრა შედითო? მათი არათანმიმდევრულობის ბრალია ეს ყველაფერი. კიდევ ერთი აბსურდი, დღემდე აჩემებული აქვთ და განსაკუთრებით ნაცმოძრაობას, რომ რევოლუციას მოვაწყობთ. ეს არის სრული სისულელე. რევოლუცია რომ მოხდა იმ ერთხელ, ეს უნიკალურ გარემოებებს დაემთხვა. დღეს არ არის ეს გარემოებები საქართველოში. მელიას ეჩხუბებოდნენ, ბევრი ხალხი იყო ქუჩაში და რატომ არ შეანგრიეთ პარლამენტიო. ეს ხომ სრული აბსურდი იყო.

***– მელიაზე რას იტყვით, მარტო უნდა დარჩეს თუ გაერთიანდეს სხვა პატარა პარტიებთან?***

– მელია ვინ უნდა წაიყვანოს, ვის უნდა?! ალბათ დამოუკიდებელ თამაშს წამოიწყებს.

***– გიორგი გახარია გააქტიურდა ბოლო დღეებია. მასზე რას იტყვით, რა შანსები აქვს?***

– ფული თუ ექნა, შეიძლება რაღაც მოახერხოს. აქვს ფული? რაღაც არ ეტყობა. ფულზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. ცხადია, გახარიას თავის წონა და რეიტინგი აქვს, მაგრამ უფულოდ ვერაფერს ვერ იზამს. ასევე მნიშვნელოვანია ერთი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ქართული ოცნება" ძალიან ნუ გაყოყოჩდება"

## ლევან ალაფიშვილი: „საზოგადოებაში დუღილის პროცესი შეინიშნება. ისე არ არის, რომ ხალხი მზად არის ყველაფერს შეეგუოს"



**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

ნათია ხურცილავა

***– ბატონო ლევან, განათლების მინისტრმა, ამილახვარმა თქვა, რაში გვჭირდება სალომე ზურაბიშვილი, კანდიდატის სტატუსი „ქართული ოცნების" მონაპოვარია. ფიქრობთ, ხელისუფლება წინასაარჩევნო კამპანიას სწორედ ამ მონაპოვარზე ააგებს და არავინ სჭირდება, რომ შეეცილოს?***

– „ქართული ოცნების" გადასაწყვეტი საკითხია, რაზე ააგებს წინასაარჩევნო კამპანიას, მაგრამ ძალიან გაყოყოჩებული ნათქვამია – რაში გვჭირდება, არავინ არ გვჭირდება. ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა „ოცნებამ". მთელი ამ ხნის მანძილზე, ყველა ჩამოიცილა.

ელექტორალურად ძალიან უჭირს „ქართულ ოცნებას". ისე არ არის, რომ ამას ვერ აცნობიერებდნენ. კარგადაც აცნობიერებენ და ფიქრობენ, თუ როგორ დაიბრუნონ განაწყენებული ძველი ამომრჩეველი.

***– კანდიდატის სტატუსი კარგი სასტარტო მდგომარეობა იქნება ხელისუფლებისთვის, ოპოზიციისგან განსხვავებით.***

– საქართველოში ყველა არჩევნებში ხელისუფლება ყოველთვის უკეთეს სასტარტო პირობებშია, ოპოზიციისგან განსხვავებით. პარტია სახელისუფლო ვერტიკალთანაა შეზრდილი. თითქოს ერთია ხელისუფლება და პარტია. თუმცა, არის პერიოდი, როდესაც ამ „ჰარმონიას" გაბრაზებული ამომრჩეველი არღვევს და თავის სათქმელს ამბობს.

***– ამ არჩევნებზე ასეთი რამე არის მოსალოდნელი?***

– ამომრჩეველი, ვერ გეტყვით, კონკრეტულად როდის გაბრაზდება და ეს იქნება თუ არა არჩევნების დღე, მაგრამ შეგახსენებთ მარტის გამოსვლებს, როდესაც გაბრაზებულმა თავისი სათქმელი თქვა. როდესაც რუსული კანონი, უკვე მიღებული, „ქართულმა ოცნებამ" რამდენიმე საათში საკუთარივე ხელებით დახია. არავინ ელოდა, რომ ხალხი ასე გაბრაზდებოდა და ქუჩაში თვითორგანიზებულად გამოვიდოდა. აქციების დროს, საერთოდ არავის ახსოვდა, ოპოზიცია სად იყო.

მართალია ოპოზიციურ ფლანგზე ისე ვერ არის საქმე, როგორც უნდა იყოს, რომ ანგარიშგასაწევ ძალად იქცეს, მაგრამ ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას, ხალხის ნებას ვერავინ დაუპირისპირდება. ამომრჩეველს ძალიან ბევრი რამე შეუძლია.

ვინ იფიქრებდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ვინმე დაამარცხებდა. მაშინდელი კუდი დღევანდელ სუსხზე ათი თავით ძლიერი იყო. უფრო ზუსტად, შიშის ზარს სცემდა, მაგრამ ხალხმა მიიღო გადაწყვეტილება და თქვა, რომ არ ეშინია. ხალხის მაღალ აქტივობას სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერაფერი ვერ დაუპირისპირა. სააკაშვილმა არჩევნების შემდეგ, მართალია დასავლეთთან კონსულტაციის შედეგად, მაგრამ არჩევნებში დამარცხება აღიარა.

უახლესი ისტორიიდან კიდევ უფრო შორეული ფაქტი რომ გავიხსენოთ, ვინ იფიქრებდა, 1990 წელს არჩევნებში კომუნისტური პარტია დამარცხდებოდა და ეროვნული პარტია, ეროვნული იდეოლოგია გაიმარჯვებდა, მაგრამ ეს მოხდა.

***– მაშინ საზოგადოებრივი აზრი მომწიფებული იყო, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვქონოდა. რაც შეეხება სააკაშვილის პერიოდს, ხალხმა გადაწყვეტილება მიიღო, რომ უარი ეთქვა ნაციონალური მოძრაობისთვის. დღეს საზოგადოება რამდენად არის მზად ასეთი გადაწყვეტილებისთვის?***

– დღეს საზოგადოებაში დუღილის პროცესი ნამდვილად შეინიშნება. ისე არ არის, რომ ხალხი მზად არის, ყველაფერს შეეგუოს. ჩემ მიერ მოყვანილი მაგალითები, თუნდაც რუსულ კანონთან დაკავშირებით, ამის მშვენიერი ილუსტრირებაა. ფაქტია, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეები ყველაფერს მორჩილად აღარ მიიღებენ. ვიღაცის მიერ სადღაც მიღებულ გადაწყვეტილებას ამ ქვეყნის საზიანოს, ხალხი მორჩილად არ შეეგუება. ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან ნუ გაყოყოჩდებიან. არც ისეა, რომ დალხენილად ჰქონდეთ საქმე. სუსტი ოპოზიცია ბევრს არაფერს ნიშნავს.

***– რეალური ალტერნატივა თუ არ გამოჩნდება?***

– მთავარია, ხალხმა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ასე არ უნდათ ცხოვრება, რომ უკეთეს სახელმწიფოში იმსახურებენ ცხოვრებას. ქვეყნის დემოკრატიული განვითარებიდან გადახვევას, ეს ხალხი არავის არ აპატიებს. ევროპული ვექტორიდან გადახვევის მცდელობაზე რეაქცია იყო ის გამოსვლები, რომელიც იყო რუსთაველზე. პოლიტიკოსები არც კი იყვნენ გამომსვლელებს შორის. მთავარი ხალხი იყო და ასეა ყოველთვის. ასე იქნება არჩევნების დღესაც, თუ ამომრჩეველი იქნება აქტიური. „ქართულ ოცნებას" ყველაზე მეტად ამომრჩევლის მაღალი აქტივობის უნდა ეშინოდეს. ამ არჩევნებზე მაღალი აქტივობა იქნება გადამწყვეტი.

# მშვიდობიანი შეთანხმება მომწიფდა

## ვინ ვის შეიძლება შეეჯახოს სამხრეთ კავკასიაში

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს, როგორც შუამავლის როლი, ბოლო ხანს გაძლიერდა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტის მოწესრიგებაში. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს მეზობლებმა საბოლოო შეთანხმებას შუამავლების გარეშეც მიაღწიონ. ამის წინაპირობას ექსპერტები აქამდე მიღწეულ ორმხრივ გადაწყვეტილებებში ხედავენ. ახლახან აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და სომხეთის პრემიერის აპარატმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება. მასში მხარეები გამოხატავენ ერთმანეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისა და პატიმრების ურთიერთგაცვლის სურვილს.**

საკითხზე აზერბაიჯანულ მედიასთან საუბრობს ცნობილი აზერბაიჯანელი იურისტი და დიპლომატი **ნამიკ ალიევი.**

***– თქვენი შეფასებით, ნიშნავს თუ არა ეს დოკუმენტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სიტუაციის მოგვარების პროცესს?***

– ეს დოკუმენტი შეიძლება ჩაითვალოს გარღვევად. კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ 3-წლიან პერიოდში ამგვარი არაფერი მომხდარა.

იმის გათვალისწინებით, რომ ის ერთობლივად მიიღეს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და სომხეთის პრემიერის აპარატმა, დოკუმენტი მოულოდნელი გამოდგა. ეს არის პოზიტიური მოვლენა მშვიდობიანი ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე იმედებისა და მისწრაფებების თვალსაზრისით.

***– რა სარგებელი მოაქვს ორმხრივ დიალოგს?***

– ერთობლივმა განცხადებამ აჩვენა, რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს მოლაპარაკებების გამართვა შუამავლების გარეშე. დიდი ხნის განმავლობაში ვხედავდით, რომ ერთიცა და მეორე მხარეც მომავალი ურთიერთობის მომავალს შუამავლობის მეშვეობით ხედავდა.



თავიდან ეს იყო ეუთოს მინსკის ჯგუფი, შემდგომში – სხვადასხვა მოედანი, რომელიც წარმოიქმნა 2020 წელს ყარაბაღის ომის დამთავრების შემდეგ. ამ მოედნებზე ყოველთვის ჩნდებოდა მოლაპარაკებებთან დაკავშირებული რაღაც პრობლემები.

ახლა ვრწმუნდებით, რომ დიალოგის წარმართვა შესაძლებელია შუამავლების გარეშეც და ამას საგრძნობი შედეგები მოაქვს.

***– მიღწეულ შეთანხმებებს როგორ აფასებთ?***

– მხარეების მიერ გაკეთებულმა ჟესტებმა დაადასტურა, რომ პარტნიორის მისწრაფებების გაგება შესაძლებელია. აზერბაიჯანის მხრიდან კეთილი ნების ჟესტი იყო სომხეთისთვის 32 პატიმრის გადაცემა აზერბაიჯანის 2 მოქალაქის სანაცვლოდ. ეს იყო დიდი დათმობა. მეორე მხრივ, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც აზერბაიჯანის სამხედროს ფასი, ღირებულება.

ერთობლივი განცხადების პოზიტიური სულისკვეთება იმის დემონსტრირებაა, თუ როგორ სწრაფად შეიძლება მოლაპარაკება ორმხრივი ფორმატის მოლაპარაკებებში.

***– შემდგომში რა ნაბიჯებს უნდა ველოდოთ ბაქოსა და ერევნისგან?***

– ვფიქრობ, რომ მშვიდობიანი შეთანხმებისკენ უნდა წავიდეთ. მას ალტერნატივა არ გააჩნია. მხოლოდ მშვიდობიანი შეთანხმების შედეგად მივაღწევთ იმას, რომ საბოლოო ჯამში, რეგიონი ეკონომიკურად განვითარდეს, აყვავდეს და წინ წავიდეს. მშვიდობიანი შეთანხმების გარეშე განვითარება არ მოხდება.

იმედი ვიქონიოთ, რომ მხარეები, რომლებიც დაინტერესებული არიან სამხრეთ კავკასიაში მშვიდობით, შექმნიან პირობებს ბაქოსა და ერევანს შორის ორმხრივი შეთანხმებისათვის.

ბოლო ხანს სომხეთის ხელისუფლებამ ბევრი სამართლიანი საყვედური გამოთქვა რუსეთის მიმართ, რომლის მოკავშირედ სომხეთი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა. სომხეთის პრემიერის პროდასავლურ მიდგომებს სომხეთში ბევრი იზიარებს.

სომეხი სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი აიკ ნალაპეტიანი იმათ შორისაა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობა რუსეთს და ირანს უნდათ. მისი განცხადებები საინტერესოა იმ კუთხით, რომ ადასტურებს დასავლეთის ინტერესს სამხრეთ კავკასიის მიმართ. მისი ზოგიერთი მოსაზრება ემთხვევა საქართველოში მოქმედი პრორუსული ჯგუფების გამონათქვამებს.

**აიკ ნალაპეტიანი:**

– რუსეთსა და ირანს სჭირდებათ მშვიდობა, ვინაიდან ამ ტერიტორიაზე გაივლის ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის 4-დან 3 გზა. დერეფანს რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე ენერგეტიკული თვალსაზრისით. ამ კონტექსტში ტრანზიტული ქვეყანა იქნება ირანი. ამიტომ, რუსეთისთვისაც და ირანისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში იყოს 100%-იანი მშვიდობა. ეს მათ „3+3"-ის ფორმატში გააფორმეს.



თუ რუსეთმა და ირანმა ამ პროექტებს ხორცი შეასხეს, კოლექტიური დასავლეთი, პირველ რიგში, აშშ, რეგიონის მიღმა, ენერგორესურსების მოძრაობის საკვანძო ჰაბის გარეშე აღმოჩნდება.

***– თუ მშვიდობის შესახებ ხელშეკრულება ამერიკული სცენარით გაფორმდა, მაშინ როგორ განვითარდება მოვლენები?***

– ეს ვარიანტიც განვიხილოთ. ეს იქნება „მშვიდობიანი ხელშეკრულება" ომის წინ.

აშშ-ს სჭირდება, რომ სამხრეთ კავკასია გახდეს ამერიკელებისა და მათი ნატოელი მოკავშირეების გავლენის ზონა. ეს ნიშნავს, რომ შეიქმნება თურანის უზარმაზარი სახმელეთო გზა თურქეთიდან ცენტრალურ აზიაში. აქ სატრანზიტო ტერიტორიად გამოდის სამხრეთ კავკასია. მათ შორის, სომხეთი.

ეს ნიშნავს, რომ თურანი – აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი მთავარი გეოპოლიტიკური პროექტი – ხორციელდება. აქ იქნება მშვიდობა რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნის გარეშე. ასეთ შემთხვევაში არცახიდან (ყარაბაღიდან) უნდა გავიდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები, სომხეთი რუსეთის სამხედრო ბაზამ და მესაზღვრეებმა უნდა დატოვონ.

„ევროკავშირის მეთვალყურეების ქუდის" ქვეშ სომხეთში უკვე იმყოფებიან ნატოს წარმომადგენლები. მათთვის საფრანგეთიდან ხდება შეიარაღების მოზიდვა.

თუ სამხრეთ კავკასია სრულად გადადის აშშ-ის კონტროლზე, თურქეთი იღებს ხსენებულ თურანის გზას ცენტრალურ აზიამდე. ეს იწვევს განხეთქილებას რუსეთსა და ირანს, ასევე რუსეთსა და ჩინეთს შორის.

***– მიგაჩნიათ, რომ ამან შეიძლება ომი გამოიწვიოს?***

– ეს მოასწავებს ომს ნებისმიერ მომენტში. აუცილებელი სულაც არაა, რომ ომი იყოს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. შესაძლებელია, იყოს ომი სამხრეთ კავკასიის გაერთიანებულ ძალებსა (თურქეთის გენერალიტეტის მეთაურობით) და რუსეთს შორის, ან ამ გაერთიანებულ ძალებსა და ირანს შორის.

ამ დღის წესრიგის ლოგიკაში ჯდება 2024 წლის თებერვალში აზერბაიჯანში ანონსირებული რიგგარეშე საპრეზიდენტო და სომხეთში დაგეგმილი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები.

# „გახარიას ნაცებიც და „ოცნებაც" ჩაძირავენ"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რამეც, რომ მას ჩაძირავს ორივე მხარე თავისი ტელევიზიებიდან. გახარიას კი თავისი ტელევიზია არა აქვს. ტელევიზია აქვს მხოლოდ ორ მხარეს, ჩვენც ხომ კარგად ვიცით ეს? მორჩა და დამთავრდა. დღემდე ნაცმოძრაობაში ეჭვობენ, რომ გახარია, ბიძინას კაცია, „ოცნება" კი ამბობს, მოაშორეთ ეს კაცი, მოღალატეა. ამიტომ ორივე მხარე ჩაძირავს. გახარიას თუ ფული არ ექნება, ძალიან გაუჭირდება.

***– რას იტყვით პრეზიდენტის როლზე? „ოცნების" ლიდერები უკვე გამოთქვამენ ეჭვს, რომ სალომე ზურაბიშვილი არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გადადგება და ოპოზიციის შუაშისტურ ძალას ჩაუდგება სათავეში. თქვენ რას ელით პრეზიდენტისგან?***

– და შუაშისტური ძალა გამზადებულია და ლიდერს ელოდება სალომეს სახით?! სად არის შუასისტური ძალა? მე ამ ყველაფერში ეჭვი მეპარება ძალიან. მით მეტეს, სალომესთან ურთიერთობა საკმაოდ რთულია. ვისგან რა პოლიტიკური ლიდერი დადგება, ეგეც საკითხავია. როდესაც პრეზიდენტად დასვეს, ყველას გვახსოვს, რა არჩევნებიც იყო და რაც ხდებოდა. ან რა რეიტინგი ჰქონდა სალომე ზურაბიშვილს. ერთია, რომ პრეზიდენტი ხარ, გყავს დიდი აპარატი, გაქვს კარგი ბიუჯეტი და მეორეა, რომ გადიხარ პოლიტიკურ ბრძოლის ველზე, თანაც უფულოდ. ვნახოთ, აბა რას იზამს, ცალკე რომ გავა. რამე რეიტინგი ჰქონია სალომე ზურაბიშვილს, როგორც ცალკე აღებულ ფიგურას?! ორივე შემთხვევაში გაუმართლა. ერთხელ გაუმართლა, მიშამ წაიყვანა საგარეო საქმეთა მინისტრად, სადაც მაინცდამაინც ვერ ივარგა. მერე ბიძინამ დაადგა თვალი და რატომღაც პრეზიდენტად აირჩია. თუმცა, მაინცდამაინც ვერც მას გაუმართლა. ახლა თუ ოპოზიციას გაუმართლებს სალომეში, არ ვიცი, ვნახოთ, გამოჩნდება. რბილად რომ ვთქვა, ქალბატონი სალომე მარტივად გასაკონტროლებელი პირი არ არის. დღეს ოპოზიციას, ამ განლაგებით, არანაირი შანსი არა აქვს არჩევნებში გამარჯვების. ნაცმოძრაობა დეგრადირებულია და სხვებს კი ბარიერის გადალახვის პრობლემა აქვთ.

ეკონომიკა

# რას გულისხმობს ეროვნული შეფასება სკოლებში და ჩაანაცვლებს თუ არა ის ეროვნულ გამოცდებს?



– ალბათ ყველა თანხმდება, რომ სკოლებში აუცილებელია დავაბრუნოთ ე.წ. ეროვნული შეფასება, – ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, გიორგი ამილახვარმა ზოგადი განათლების რეფორმის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, ეს მნიშვნელოვანია ბავშვის, მასწავლებლის, სკოლის ადმინისტრაციის, სამინისტროსა და მთელი ქვეყნისათვის.

– ალბათ ყველა თანხმდება, რომ სკოლებში აუცილებელია დავაბრუნოთ ე.წ. ეროვნული შეფასება. ეს მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ, მასწავლებელმა იცოდეს, რა შედეგებზე გადის ის. ეს მნიშვნელოვანია მოსწავლისა და სკოლის ხელმძღვანელობისთვის და, რაც მთავარია, განათლების სამინისტროს, სისტემის და ჩვენი ქვეყნისთვის. ამიტომ აქტიურად დავიწყეთ პროცესი, რომელიც გულისხმობს, პირველ ეტაპზე მე-6 და მე-9 კლასებში შემოვიღოთ ე.წ. სადიაგნოსტიკო შეფასებები, რომელიც სისტემას მისცემს ნათელ სურათს, თუ როგორ ვითარდება, რა დახვეწა და განვითარება სჭირდება სწავლას. ასევე, გვინდა მე-12 კლასში უკვე იყოს განმსაზღვრელი შეფასება. ვფიქრობთ, შეფასებაში მოაზრებული იქნება ბავშვის ტრანზიცია სკოლიდან უმაღლეს ან პროფესიულ განათლებაში, – განაცხადა მინისტრმა.

გიორგი ამილახვარი ამბობს, რომ პროცესი გაწერილია 2-3 წელზე და მოიცავს პილოტირებას და დანერგვის ეტაპებს. მისივე თქმით, პროცესი 2024 წელს დაიწყება და 2027 წელს დასრულდება.

პრეზენტაციის შემდეგ, ჟურნალისტებმა განათლების მინისტრს ჰკითხეს, სკოლაში ეროვნული შეფასების სისტემის დანერგვა ხომ არ ნიშნავს, რომ ეროვნული გამოცდები გაუქმდება.

ამილახვარის თქმით, ამ ეტაპზე რეფორმის ასე, ამ ფორმით დაანონსება არ არის მართებული.

– ჩვენ დღეს ვთქვით, რომ აქტიურად დავიწყეთ მუშაობა ეროვნულ შეფასებაზე. სამწუხაროდ, დღეს არ გვაქვს არანაირი განმსაზღვრელი შეფასება. ახალი რეფორმით კი, სკოლა დაიბრუნებს თავის ძირეულ ფუნქციას. ეს აუცილებელია, რომ სასკოლო საზოგადოება ხედავდეს საკუთარი განვითარების კონტურებს.

რაც შეეხება, იქნება თუ არა ეს ეროვნული გამოცდების ჩამნაცვლებელი, ამაზე აქტიურად ვმუშაობთ, თუ როგორი უნდა იყოს ბავშვის ტრანზიცია უმაღლეს განათლებაში. ამიტომ, ამის ასე დაანონსება, რომ ეროვნული გამოცდები ჩანაცვლდება, ამ ეტაპზე არ იქნება მართებული, – უპასუხა ამილახვარმა.

# საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება საქართველოში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული



საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება საქართველოში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული. აღნიშნულს გულისხმობს კანონპროექტი „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა.

კერძოდ: კანონპროექტით უქმდება „მაუწყებლობის შესახებ" კანონით განსაზღვრული მაუწყებლის დაფინანსების ნორმა, რომელიც ითვალისწინებს მაუწყებლის დაფინანსებას მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0,14%-ით.

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ პაატა კვიჟინაძემ განმარტა, კანონპროექტით განისაზღვრა საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ახალი წესი, რომლის შესაბამისადაც: საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტი, დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არანაკლებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში წინა წლის დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობისა და საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის დაფინანსების კოეფიციენტის – 64 ლარის ნამრავლის შედეგად მიღებული თანხის მოცულობით, მაგრამ არანაკლებ წინა წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული მთლიანი ასიგნების ოდენობისა.

წარმოდგენილი კანონპროექტით ასევე იცვლება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დაფინანსების ოდენობა. ზემოაღნიშნული ნორმები ძალაში შედის 2026 წლის 1-ელი იანვრიდან.

კომიტეტმა საკანონმდებლო ინიციატივას, რომელსაც პარლამენტი დაჩქარებული წესით იხილავს, მხარი დაუჭირა.

# „საწვავის გაძვირებას კი არა, გაიაფებას ველოდებით"



– ახლა სიტუაცია ისეთია, რომ საერთაშორისო ბაზარზე ფასების კლების ტენდენციაა, გარდა ამისა, რუსეთში იაფად შეძენილი საწვავი, ჯერ კიდევ გზაშია, მთლიანი რაოდენობა არც შემოსულა, ამიტომ, გაძვირებას კი არა, გაიაფებას ველოდებით, – ამის შესახებ „სენტა ოილის" დამფუძნებელმა ზაალ იაკობიძემ „ბიზნესპრესნიუსთან" საუბრისას განაცხადა.

ცნობისთვის, მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსეთი ქვეყნებს საწვავს იაფად აღარ მიაწვდის. თუმცა, როგორც ზაალ იაკობიძე ამბობს, მსგავსი განცხადება ოფიციალურად არ გაკეთებულა და მისთვის ცნობილი არ არის, სიმართლეს შეესაბამება თუ არა.

– ეს ჩვენთვის არის საშეღავათო ტარიფი იმ კუთხით, რომ რუსეთისგან ვიღებთ იმაზე ნაკლებ ფასად, რაც, ზოგადად, მსოფლიო ბაზარზეა. თუმცა, რუსეთი შედარებით იაფად გვაძლევს არა მხოლოდ ჩვენ, არამედ სხვა ქვეყნებსაც. მისი პოლიტიკა იქიდან გამომდინარეობდა, რომ რუსეთისთვის ჩვეულებრივი გასაღების ბაზრების რაოდენობა შეზღუდული იყო, და, არა ის, რომ საქართველოს რამე განსაკუთრებულ პირობებში გვამყოფებდა.

შემდეგ მოხდა ექსპორტის შეზღუდვა რუსეთის მხრიდან, მაგრამ ცოტა ხნის წინ მოიხსნა და ისევ ისე, შედარებით დაბალ ფასად ვყიდულობთ. ჩემთვის არ არის ცნობილი, რომ რუსეთი ამ საშეღავათო ფასების გაზრდას აპირებდეს. ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაცია არ მაქვს.

თან, ახლა სიტუაცია ისეთია, რომ საერთაშორისო ბაზარზე ფასების კლების ტენდენციაა, გარდა ამასა, რუსეთში იაფად შეძენილი საწვავი, ჯერ კიდევ გზაშია, მთლიანი რაოდენობა არც შემოსულა, ამიტომ, გაძვირებას კი არა, გაიაფებას ველოდებით, – ამბობს ზაალ იაკობიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ თქვა ჟორდანიამ საქართველოში დაბრუნებაზე უარი?

ინტერვიუ პროფესორ ვახტანგ გურულთან, რომელიც ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.

***– ბატონო ვახტანგ, რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ნოე ჟორდანია და იოსებ სტალინი?***



– როგორც ცნობილია, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგისათვის (1899-1901 წწ.) საქართველოში არსებობდა საერთო ქართული სოციალ-დემოკრატიული (მესამე დასი) ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის მიმდევარი იყო, რაც ლენინს ძალიან აღიზიანებდა. რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ცდილობდნენ, თავისი გავლენის ქვეშ მოექციათ რუსეთის იმპერიის ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რათა შემდეგ, მათი გაერთიანების საფუძველზე შეექმნათ რუსეთის სიციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ). ამ პროცესს ხელს უშლიდა დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიული იდეების მიმდევარი „მესამე დასი“ და მისი ლიდერი ნოე ჟორდანია. ლენინისათვის ნოე ჟორდანიას დამარცხება ადვილი საქმე არ იყო, აუცილებელი იყო ნოე ჟორდანიასთვის დაეპირისპირებინათ ისეთი ქართველი სოციალ-დემოკრატი, რომელიც საქართველოში შესძლებდა რუსული სოციალ-დემოკრატიული იდეების დამკვიდრებას.

***– ასეთი პიროვნება ლენინს თუ ჰყავდა შერჩეული?***

– 1898-1900 წლებისთვის ლენინს ასეთი პიროვნება ჯერ შერჩეული არ ჰყავდა. მიმდინარე პროცესს იოსებ ჯუღაშვილმა კარგად აუღო ალღო. მან საქართველოში ლენინისგან დამოუკიდებლად იკისრა რუსული სოციალ-დემოკრატიის მედროშეობა. იოსებ სტალინის არჩევანი განაპირობა შემდგომმა მიზეზებმა. სტალინი კარგად გრძნობდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია საბოლოოდ მაინც დათრგუნავდა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეების მიმდევარ „მესამე დასს“. სტალინი უფრო პერსპექტიული ძალების მხარეზე დადგა. მან დააარსა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის იდეების მიმდევარი ორგანიზაცია „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატების დასი“ და არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“ (1900-1901 წწ.) გამოსცა. ამრიგად, საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ნოე ჟორდანიას და სტალინის მიმდინარეობები. ნოე ჟორდანია კარგად გრძნობდა, რომ სტალინის უკან რუსეთის სოციალ-დემოკრატია იდგა, რაც სტალინის გამარჯვების შანსს ზრდიდა. სტალინმა კარგად იცოდა, რომ „მესამე დასი“ საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია იყო და მისი დამარცხება ადვილი არ იქნებოდა. ასე დაიწყო ნოე ჟორდანიას და იოსებ ჯუღაშვილის დაპირისპირება. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები და ლენინი ამ დაპირისპირებას დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. პირველმა წლებმა ნოე ჟორდანიას სერიოზული წარმატებები მოუტანა. მიუხედავად იმისა, რომ 1903 წელს ლენინმა მოახერხა „მესამე დასის“ ლიკვიდაცია, ნოე ჟორდანიას ავტორიტეტი მაინც იზრდებოდა. ჟორდანია, როგორც ქართული სოციალ-დემოკრატიის სახე, ისე იყო რსდმპ-ს II ყრილობაზე (1903 წ.), რსდმპ-ს IV ყრილობაზე (1906 წ.), რსდმპ-ს V ყრილობაზე (1907 წ.). ამ დროისთვის სტალინი, ჯერჯერობით, უმნიშვნელო სოციალ-დემოკრატად რჩებოდა.

***– ნოე ჟორდანიას გარდა რუსეთში სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატები თუ იყვნენ ასეთი პოპულარულები?***

– ჟორდანიას გარდა, რუსეთში ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან პოპულარულები იყვნენ: ისიდორე რამიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ნოე რამიშვილი, ჭოლა ლომთათიძე და სხვები. სტალინის მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო, მაგრამ ის დანებებას არ აპირებდა.

***– რა ზომებს მიმართა უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილმა სტალინმა?***



– სტალინის სამოქმედო გეგმა ამჯერადაც მარტივი იყო. მას შემდეგ, რაც რსდმპ მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციებად გაიყო, ლენინი და ჟორდანია უფრო და უფრო უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ლენინი არ დაუშვებდა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატიის ლიდერი ნოე ჟორდანია ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში საქართველოში ძალიან აქტიურობდა ბოლშევიკი იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა მენშევიკ ჟორდანიას.

1904 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ ლენინისთვის გაგზავნილ წერილში იოსებ სტალინი ჟორდანიას ვირად მოიხსენიებს. ლენინი და მისი თანამოაზრეები მიხვდნენ, რომ სტალინი მათ საქმეს აკეთებდა. მიუხედავად ლენინისა და ბოლშევიკების აქტიური მხარდაჭერისა, სტალინმა ჟორდანიას ავტორიტეტი ვერ შეარყია. 1907 წელს სტალინმა საქართველო დატოვა და რუსეთში წავიდა.

***– როგორ გაგრძელდა ჟორდანიასა და სტალინის ურთიერთობა?***

– 1907 წლის შემდეგ, სტალინს და ჟორდანიას ურთიერთობა, პრაქტიკულად, აღარ ჰქონიათ. პირველი მსოფლიო ომის წინ (1911-1913 წწ.), რუსეთის სოციალ-დმოკრატია აქტიურად ამუშავებდა ეროვნულ საკითხს, რაზეც ცხარე პოლემიკა მიმდინარეობდა. ამ პოლემიკაში ჩართული აღმოჩნდნენ ჟორდანია და სტალინი. ერთმანეთს რამდენჯერმე მწარედ კბილიც კი გაჰკრეს.

***– შეეგუა თუ არა სტალინი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ჟორდანიას საქართველოს მთავრობის თავჯდომარედ დანიშვნას?***

– არა, სტალინი იმდენად უარყოფითად იყო განწყობილი დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ, რომ წინაალმდეგი წავიდა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დადების. 1920 წლის 7 მაისს ასეთი ხელშეკრულება მაინც დაიდო. საბჭოთა რუსეთმა დე იურე სცნო საქართველოს რესპუბლიკა. რუსეთმა აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მოსკოვში, ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად ჩასულ ქართველ სოციალ-დემოკრატ, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრს გრიგოლ ურატაძეს გაღიზიანებულმა სტალინმა ქართულად მიმართა: გრიშა, ბიჭო, შენ მართლა ფიქრობ, რომ რუსეთი ბათუმს ასე ადვილად დათმობსო? ამ სიტყვებით ყველაფერი ნათლად ჩანდა.

***– როგორი იყო 1921 წლის შემდეგ ნოე ჟორდანიას და იოსებ სტალინის ურთიერთობა?***

ჟორდანიას ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, სტალინისათვის იგი დიდ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა. თუმცა, ჟორდანია თავის წერილებში საბჭოთა სისტემის ნამდვილ ბუნებას და სახეს წარმოაჩენდა.

1945 წელს მოსკოვიდან პარიზში გაემგზავრა დელეგაცია, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის და იოსებ სტალინის შეთანხმების საფუძველზე, პარიზიდან თბილისში უნდა ჩამოეტანათ ქართული ეროვნული განძი, რომელიც 1921 წელს გაიტანეს.

წასვლის წინ დელეგაციის ხელმძღვანელმა სტალინს ჰკითხა: როგორ მოქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუ ჟორდანია სამშობლოში დაბრუნებას მოისურვებდა. სტალინმა უთხრა, წამოიყვანეთო.

ქართველი დელეგაციის წევრები მართლაც შეხვდნენ ჟორდანიას და სამშობლოში დაბრუნება შესთავაზეს. ჟორდანიამ იკითხა, სტალინთან შეთანხმებული თუ იყო ეს საკითხი. დელეგაციის წევრებმა უპასუხეს, რომ სტალინთან ეს საკითხი შეთანხმებული არ იყო. მაშინ ნოე ჟორდანიამ საქართველოში დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

---

## მედიცინა

# ზღვაზე ლაქი არ წაისვათ

### მანიკიური

სასურველია, რომ მანიკიური ყოველ მეათე დღეს გაკეთდეს. თავდაპირველად, სპეციალური ე.წ. ნიჩბით უნდა აიწიოს ნუნები. ამის შემდეგ, თითები უნდა ჩაიდოს თბილი წყლისა და საპნის ნაზავში 3-4 წუთის განმავლობაში. შემდეგ ძალიან ფაქიზად და ზედაპირულად უნდა მოიჭრას ნუნა. ხშირად ქალბატონებს ჰგონიათ, რომ მისი სიღრმისეული ამოჭრა უფრო მართებულია, რაც არასწორია და ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ინფექცია შეიჭრას, განვითადეს პანარიცინი ანუ ფრჩხილების ანთება და ყველაფერი ძალზედ სავალალოდ, ფრჩხილების დაძრობით დასრულდეს. უკვე გაკეთებულ, მხოლოდ მშრალ ფრჩხილებს ვაძლევთ სასურველ ფორმას ქლიბით და მასზე ვუსვამთ სპეციალურ დამცავ, ვიტამინიზირებულ, უფერო ლაქს, რომელიც ამაგრებს ფრჩხილს და მის ზედაპირს გლუვ და თანაბარ ფორმას აძლევს. საბოლოოდ, ფრჩხილი იფარება სასურველი ფერის ლაქის ორი ფენით. მაგრამ არიან ქალბატონები, რომლებიც სახლის პირობებში ამჯობინებენ მანიკიურის გაკეთებას, რადგან მიაჩნიათ, რომ მეტად დაცულები იქნებიან რაიმე სახის ინფექციისაგან.



როგორც სალონში, ასევე სახლში, ყოველი გამოყენების შემდეგ ინსტრუმენტებს აუცილებლად უნდა გაუკეთდეს სტერილიზაცია. ფრჩხილის გასამაგრებლად კარგია მასზე იოდის წასმა ან ზღვის მარილის აბაზანები, ასევე კარგად კვებავს ფრჩხილებს ზეითუნის ზეთი და მას ბუნებრივ სიპრიალეს უბრუნებს.

### პედიკიური

ამ შემთხვევაში ნუნების მოჭრა არ არის სასურველი, ის მხოლოდ უნდა აიწიოს ზემოხსენებული ე.წ. ნიჩბის საშუალებით. ფრჩხილი აუცილებლად უნდა მოიჭრას სწორად, რათა შემდგომში არ მოხდეს მისი ჩაზრუნება, ანუ არ შეიძლება ფრჩხილის გვერდებში ძალიან ღრმად ჩაჭრა. შემდეგ ქლიბის საშუალებით ფრჩხილს მიეცემა სასურველი ფორმა და დაიფარება ლაქით. იმისათვის, რომ ფრჩხილები არ დაზიანდეს, უნდა მოვერიდოთ ძალზედ მჭიდრო ფეხსაცმლის ჩაცმას.

### ფრანგული მანიკიური

ასეთ დროს სასურველი არ არის ფრჩხილი იყოს ძალიან გრძელი. უკვე დამუშავებული ფრჩხილის დაახლოებით 1/4 იფარება თეთრი ლაქით ე.წ. „ემალით“. პროფესიონალთათვის არ წარმოადგენს სირთულეს ის, რომ ფუნჯის ერთი მოსმით გაევლოს ხაზი, მაგრამ თუ სახლის პირობებში გსურთ ფრანგული მანიკიურის გაკეთება, ამისთვის არსებობს სპეციალური აპლიკატორები, რომელიც თან მოჰყვება „ფრენჩი“-სთვის განკუთვნილ ლაქების კომპლექტს. ეს არის რკალის ფორმის სპეციალური წებოვანი ქაღალდი, რომელსაც ფრჩხილის ზედა ნაწილზე ვამაგრებთ, ხოლო მის ქვედა წამოზრდილ ნაწილს ვფარავთ თეთრი ლაქით. გაშრობის შემდეგ აპლიკატორს ვხსნით და უკვე მთლიან ფრჩხილს ვფარავთ სასურველი ფერის ლაქით. ეს შეიძლება იყოს ღია რძისფერი ან ვარდისფერი. ასევე, დასაშვებია, სრულიად უფერო ლაქის წასმაც. ფრჩხილის ასეთ დამუშავებას, ძირითადად, მიმართავენ დღესასწაულებისა და ქორწილების დროს.

### დეკორატიული მანიკური

ფრჩხილის მოხატვის ტექნოლოგია საქართველოში რამოდენიმე წლის წინ შემოვიდა. ამ ხნის მანძილზე ნელნელა დაიხვეწა და დღეს უკვე მოხატვის გარდა, არსებობს ე.წ. „სტიკერები“, რომელიც სხვადასხვა თემატიკისაა და მისი საშუალებით ფორმდება ფრჩხილი. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, ვიცოდეთ სად მივდივართ, რა სახის წვეულებაზე და ამის მიხედვით უნდა მოხდეს ნახატის გაკეთება. თავდაპირველად, დამუშავებულ ფრჩხილს ესმება უფერო ლაქი, გაშრობის შემდეგ უკვე ვისვამთ სასურველი ფერისას, მეორე ფენის გადასმის შემდეგ, ჯერ კიდევ სველ ფრჩხილს, მოვხატავთ სურვილისამებრ, რაც ხდება ორგვარად – სალონის პირობებში არის სპეციალური ფუნჯი, რომელსაც აქვს ძალიან წვრილი წვერი და პროფესიონალები მისი საშუალებით მუშაობენ. ხოლო კიდევ უფრო გავრცელებულია ფრჩხილის ნემსით მოხატვა. იმ შემთხვევაში, თუ სურვილი გვაქვს, რომ ფრჩხილზე დავიტანოთ ზემოხსენებული სტიკერი, საჭიროა, საშუალოდ შემშრალ ლაქზე გადავიტანოთ ნახატი, რაც შემდგომში, აუცილებლად, უნდა დაიფაროს უფერო ლაქით, რათა მოხდეს ორნამენტის მყარად დაფიქსირება. ფრჩხილის მოხატვის ტექნოლოგიას, ძირითადად, ახალგაზრდა გოგონები, თინეიჯერები მიმართავენ, ცოტა უფროსი ასაკისანი კი ფრჩხილის სტიკერით გალამაზებას ანიჭებენ უპირატესობას.

სწორად დამუშავებულ ფრჩხილში, არავითარ შემთხვევაში, არ შეიჭრება ინფექცია. მაგრამ იმისათვის, რომ ზღვის წყალმა გაგვიმაგროს ფრჩხილები, უმჯობესია, ლაქი არ წავისვათ. ზღვის წყალი შეიცავს ისეთ მარილებს, რომელიც ძალიან სასარგებლოა ფრჩხილების გამოსაკვებად.

### გაუხეშებული ქუსლების დამუშავება

ზაფხულის პერიოდში, ძალზედ ხშირად, ქალბატონები ქუსლების გაუხეშებას უჩივიან. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა, გავიკეთოთ სოდიანი, თბილი წყლის აბაზანა. ფეხის დალბობის შემდეგ, ქუსლები უნდა დამუშავდეს სპეციალური სახეხით (ქალბატონები, ხშირ შემთხვევაში, იყენებენ ე.წ. პემზის ქვას, თუმცა, არსებობს სხვადასხვა ფირმის ქუსლის სპეციალური დასამუშავებელი ხელსაწყო). ფეხის გაშრობის შემდეგ, ქუსლი კვლავ მუშავდება შედარებით ნაზი სახეხით და ამის შემდეგ ისმება უკვე დამარბილებელი ფეხის საცხი. რაც შეეხება ინტერვალებს, ეს უკვე ინდივიდუალურია, ზოგიერთ ქალბატონს კვირაში ერთხელაც კი სჭირდება ქუსლების დამუშავება. მაგრამ საერთოდ, რეკომენდებულია, პროცედურა თვეში ორჯერ განმეორდეს.

იმისათვის, რომ ხელის კანი იყოს ნაზი და სათუთი, სასურველია, თუნდაც კვირაში ერთხელ, გავიკეთოთ კარტოფილის ნიღაბი. შედარებით თხელ, ზომიერი ტემპერატურის პიურეში უნდა მოვათავსოთ ხელები 5-10 წუთით, შემდეგ ჩამოვიბანოთ თბილი წყლით და მხოლოდ გაშრობის შემდეგ წავისვათ ხელის საცხი, რომელიც შეიცავს გლიცერინს (ასევე აუცილებელი პირობაა, საცხი ყოველდღიურად შევიზილოთ დაწოლის წინ). სველ ხელზე საცხის წასმა არ არის სასურველი, რადგან, ხშირ შემთვევაში, ხდება მისი, ასე ვთქვათ, აჭრა. თუ ყველაფერს სრულად გავითვალისწინებთ, ხელის კანი გვიან დაგვიბერდება.

---

# გამოჯანმრთელება ვუსურვოთ თემურ ჩალაბაშვილს



არაერთი ცნობილი ლექსის ავტორს, პოეტ თემურ ჩალაბაშვილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს.

ინფორმაცია ნუნუკა გრძელიშვილმა გაავრცელა:

– გამოჯანმრთელება ვუსურვოთ ბატონ თემურს, არასოდეს ჩამოსვლოდეს მის სულს ცრემლები და თავისი უკვდავი ლექსებით კვლავ გაეხარებინოს მისი პოეზიის მოყვარულები. „საიდლაც მივექანები და აღარ ვიცი, რა მომდის... სულს, როგორც უფლის საჩუქარს, ცხარე ცრემლები ჩამოსდის... ისეთი გული რად გინდა, გქონდეს და არა გტკიოდეს, ისეთი თვალნიც დავსილან, ცრემლი არ ჩამოსდიოდეთ. ისეთი ხმალი რად გინდა, მტერთან შეყრა არ შიოდეს, ისეთი შვილი რად გინდა, სამშობლო არა სტკიოდეს. ისეთი ცხენი რად გინდა, ლაშქარში არა ხვიოდეს, ისეთი მეფე რად გინდა, მხედართ არ მიუყიოდეს. ისეთი მიწა რად გინდა, სხვის ხელში გადადიოდეს. ამას სჯობია, ქართველი სამზეოს არ დადიოდეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

---

# ქალაქის მცხოვრებლებმა მწერების შემოსევა აპოკალიფსის დასაწყისად მიიჩნიეს



მექსიკის იუკატანის შტატის ქალაქ მერიდას მცხოვრებლები კალიების შემოსევამ შეაშინა. სამშაბათს, 5 დეკემბერს, ქალაქში მილიონობით მწერი გამოჩნდა. ქალაქის მრავალი მცხოვრები შეაშინა ამ მოვლენამ, ვინაიდან ის ბიბლიური ისტორიის ხორცშესხმად აღიქვეს. კერძოდ, ეგვიპტეში კალიების შემოსევის მსგავს მოვლენად და აპოკალიფსის დასაწყისად. ადგილობრივების თქმით, კალიების სიმრავლემ ცა მთლიანად დაფარა და შავი შეფერილობა მისცა. ერთ-ერთმა ადგილობრივმა კი ამის დანახვაზე შეჰყვირა: „ეს ქვეყნიერების დასასრულია, მოინანიეთ!“

მექსიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სამდივნოში, ამ მოვლენასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ ვითარებას აკვირდებიან და საჭიროების შემთხვევაში სათანადო ღონისძიებებს მიმართავენ მწერების გასანადგურებლად. სპეციალისტების თქმით კი, კალიების შემოსევა უახლოეს დღეებში დასრულდება.

---

# მძღოლს ელექტროსიგარეტი ჯიბეში აუფეთქდა

დიდ ბრიტანეთში სატვირთო მანქანის მძღოლს ჯიბეში ელექტროსიგარეტის ბატარეა აუფეთქდა.

აღნიშნული ინციდენტი კენტის საგრაფოს ქალაქ დრაფტფორდში მოხდა და ის მძღოლის კაბინაში დაყენებულმა სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა. მძღოლი ლიამ მორიარტი მანქანას აჩერებდა და დასვენება გადაწყვიტა. მან ხელში პლანშეტი აიღო და სავარძლის საზურგეზე გადაწვა. ამ დროს კი მისი შარვლის უკანა ჯიბეში ელექტროსიგარეტმა იფეთქა.

მორიარტი მაშინვე გადახტა მანქანის კაბინიდან და ცეცხლმაქრით ცეცხლის ჩაქრობას შეუდგა, ვინაიდან ცეცხლი მის სავარძელს მოედო.

– გადასაწევი სავარძლის მექანიზმში მოჰყვა ელექტროსიგარეტის ბატარეა. უბრალოდ, არ გამიმართლა. ხმამაღალი სტვენის ხმა გაისმა, თავი ავწიე და ამ დროს ალი ავარდა და იდაყვი დამეწვა, – განმარტა სატვირთო მანქანის მძღოლმა.

ამ შემთხვევის შედეგად მამაკაცმა უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო. მისი აღიარებით, ის საკუთარ თავზე მეტად მანქანის გადარჩენაზე ფიქრობდა, ვინაიდან, მისი სერიოზული დაზიანების შემთხვევაში, 130 ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდა მოუწევდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ბაიდენი: „ტრამპი დემოკრატიისათვის საფრთხეს წარმოადგენს!“

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ მისი მთავარი კონკურენტი დონალდ ტრამპი დემოკრატიისადვის საფრთხეს წარმოადგენს.

– ტრამპმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, რომ სურს ერთი დღით დიქტატორი გახდეს. მას სურს პოლიტიკური ძალადობა ნორმად აქციოს, ნაცვლად იმისა, რომ უარყოს იგი! ჩვენ ასეთი კაცის ხელისუფლებაში მოსვლას არ დავუშვებთ! – თქვა ბაიდენმა.

# ვოლოდიმირ ზელენსკი ბაიდენს შეხვდა

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ვაშინგტონში გაემგზავრა. იქ ის პრეზიდენტ ბაიდენს შეხვდა. განიხილეს აშშ-ის მიერ უკრაინის დახმარების საკითხი. შეხვედრაზე ასევე დიდი ყურადღება დაეთმო უკრაინის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას.



ბაიდენ-ზელენსკის შეხვედრა ამა წლის 12 დეკემბერს გაიმართა.

# ბრიტანეთმა და ნორვეგიამ კოალიცია შექმნეს

ბრიტანეთმა და ნორვეგიამ საზღვაო კოალიცია შექმნეს. მისი მიზანია უკრაინისადმი დახმარების გადიდება.

– ომი აუცილებლად გახანგრძლივდება! ჩვენი ამოცანაა უზრუნველვყოთ უკრაინისადმი ხანგრძლივი დახმარება, – ამბობს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კემერონი.

# ევროკავშირი უკრაინისადმი დახმარებას გააძლიერებს

რუსეთის არმია უკრაინის ფრონტზე გააქტიურდა. ამას გამოეხმაურა ევროკავშირის თავმჯდომარე ბორელი.

– დადგა დრო, როცა უკრაინისადმი დახმარება უნდა გაიზარდოს, – თქვა მან.

# პოლონეთს ახალი პრემიერი ჰყავს



პოლონეთს ახალი პრემიერი ჰყავს. ეს პოსტი 66 წლის დონალდ ტუსკმა დაიკავა. ის ადრე ევროსაბჭოს თავმჯდომარედ ორჯერ აირჩიეს. ტუსკის პარტიამ არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა. პრეზიდენტმა დუდამაც ტუსკის დაავალა ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება.

დონალდ ტუსკი პოლონეთის ევროინტეგრაციის მომხრეა. მისი წინამორბედი პარტია „ერთიანობა და სამართლიანობიდან“ კი შედარებით ნაციონალ-პოპულისტურ რიტორიკას ამჯობინებდა და ამიტომაც ევროკავშირისაგან შედარებით განცალკევებულად ეჭირა თავი.

# ჩეხეთში რუსეთთან ომს არ გამორიცხავენ

ჩეხეთის გენშტაბის უფროსმა კარელ რჟეკამ განაცხადა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია და ეს რუსეთის გამო მოხდა.

ჩეხეთის გენშტაბის უფროსის აზრით, ჩეხეთსა და რუსეთს შორის დღეს არ არსებობს სამხედრო შეტაკების საფრთხე, მომავალში კი ასეთი საფრთხე რეალურია.

# რუსეთ-უკრაინის ომი მწვავდება




რუსეთ-უკრაინის ომი ახალ ფაზაში შევიდა. ყველაზე ცხელი წერტილები კვლავ ავდეევკა, ბახმუტი, კუპიანსკი და ლიმანია.

ავდეევკასთან ოკუპანტებმა შეტევები გააძლიერეს, მაგრამ ვერავითარ ხელშესახებ შედეგს ვერ მიაღწიეს. მათ რამდენჯერმე შეაღწიეს პრომზონაში, მაგრამ იქ გამაგრება ვერ შეძლეს. მთელი პრომზონა რუსი ჯარისკაცების გვამებითაა სავსე. ოკუპანტები ვერც ავდეევკის კოქსო-ქიმიურ ქარხანაში შევიდნენ, რომელიც ნამდვილ ციხე-სიმაგრედ გადაიქცა, მათ ვერც ავდეევკის მახლობლად არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის დასახლებული პუნქტების აღება შეძლეს.

ოკუპანტებმა ვერც კუპიანსკისა და ლიმანის მიმართულებით მიაღწიეს რაიმეს. ცხარე ბრძოლები გრძელდება ბახმუტთანაც. რუსები მთელი გააფთრებით ცდილობდნენ ბახმუტის მახლობლად მდებარე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების, კლეშჩივკის, ანდრეევკის და ა.შ. აღებას, მაგრამ ვერ მოახერხეს.

უკრაინელი გენერლის კრივონოსის აზრით, რუსები განახორციელებენ შეტევას სტრატეგიული მნიშვნელობის სოფლის – ჩასოვ იარის მიმართულებით.

საპირისპირო სურათია ზაპოროჟიეს ოლქში. აქ რუსებმა სცადეს რობოტინოსთან კონტრშეტევები. მტრის გეგმებმა მარცხი განიცადა. მტერმა დიდი ზარალი იწვნია და უკან დაიხია. რაც შეეხება ხერსონის მიმართულებას, აქ ბრძოლებია. ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირზე უკრაინელები უტევენ სოფელ კრინკისთან. რუსმა ოკუპანტებმა სოფლის განაპირა ტერიტორიის დაკავება მოახერხეს. დანარჩენს კვლავ უკრაინელები აკონტროლებენ. ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირზე სასტიკი ბრძოლებია.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.664; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 10.579; არტილერია – 8.073; თვითმფრინავები – 324. განადგურებულა 340.650 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## სპორტი

# შოთა არველაძე თურქულ კლუბს გაწვრთნის



ჰალი სიტიდან წამოსვლის შემდეგ შოთა არველაძე საქმეს ისევ აქტიურად უბრუნდება. სამწვრთნელო საქმიანობაში 13-თვიანი პაუზის შემდეგ 50 წლის სპეციალისტი თურქეთის სუპერლიგის გუნდ ქარაგუმრუქში იმუშავებს.

ქარაგუმრუქის გვერდზე წერია, რომ ორივე მხარეს შორის შეთანხმება მიღწეულია და კონტრაქტს 12 დეკემბერს გააფორმებენ.

არველაძისთვის ქარაგუმრუქი მეშვიდე გუნდი იქნება, ხოლო თურქეთში – მეოთხე: კაიზერსპორი, ქასიმფაშა და ტრაბზონი; მათ გარდა მუშაობდა ტაშკენტის ფახთაქორსა და თელავივის მაკაბისა და ჰალ სიტიში.

ქარაგუმრუქი თურქეთის სუპერლიგის მიმდინარე სეზონში ჩატარებული 15 ტურის შემდეგ, 17 ქულით, მე-11 ადგილს იკავებს.

## შედეგები

11 დეკემბერი
ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩი

კოლუმბია-ვენესუელა ........ 1:0

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

გრანადა-ბილბაო ........ 1:1
რაიო-სელტა ........ 0:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხირონა | 16 | 13 | 2 | 1 | 38-20 | 41 |
| 2.რეალი | 16 | 12 | 3 | 1 | 34-10 | 39 |
| 3.ბარსელონა | 16 | 10 | 4 | 2 | 30-18 | 34 |
| 4.ატლეტიკო | 15 | 11 | 1 | 3 | 32-14 | 34 |
| 5.ბილბაო | 16 | 8 | 5 | 3 | 31-19 | 29 |
| 6.სოსიედადი | 16 | 8 | 5 | 3 | 29-18 | 29 |
| 7.ბეტისი | 16 | 6 | 8 | 2 | 19-17 | 26 |
| 8.ლას პალმასი | 16 | 7 | 3 | 6 | 14-13 | 24 |
| 9.ხეტაფე | 16 | 5 | 7 | 4 | 18-20 | 22 |
| 10.რაიო | 16 | 4 | 8 | 4 | 16-22 | 20 |
| 11.ვალენსია | 16 | 5 | 4 | 7 | 17-21 | 19 |
| 12.ალავესი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-20 | 16 |
| 13.ვილიარეალი | 16 | 4 | 4 | 8 | 22-29 | 16 |
| 14.ოსასუნა | 16 | 4 | 4 | 8 | 18-26 | 16 |
| 15.მალიორკა | 16 | 2 | 8 | 6 | 14-20 | 14 |
| 16.სევილია | 15 | 2 | 7 | 6 | 20-21 | 13 |
| 17.კადისი | 16 | 2 | 7 | 7 | 13-23 | 13 |
| 18.სელტა | 16 | 1 | 7 | 8 | 15-25 | 10 |
| 19.გრანადა | 16 | 1 | 5 | 10 | 20-36 | 8 |
| 20.ალმერია | 16 | 0 | 4 | 12 | 17-39 | 4 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ტენერიფე-ალკორკონი ........ 1:0

### იტალია. სერია ა

ემპოლი-ლეჩე ........ 1:1
კალიარი-სასუოლო ........ 2:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 15 | 12 | 2 | 1 | 37-7 | 38 |
| 2.იუვენტუსი | 15 | 11 | 3 | 1 | 23-9 | 36 |
| 3.მილანი | 15 | 9 | 2 | 4 | 26-18 | 29 |
| 4.რომა | 15 | 7 | 4 | 4 | 28-17 | 25 |
| 5.ნაპოლი | 15 | 7 | 3 | 5 | 26-18 | 24 |
| 6.ფიორენტინა | 15 | 7 | 4 | 5 | 24-18 | 24 |
| 7.ატალანტა | 15 | 7 | 2 | 6 | 24-18 | 23 |
| 8.ბოლონია | 15 | 6 | 7 | 2 | 18-12 | 25 |
| 9.მონცა | 15 | 5 | 6 | 4 | 16-14 | [illegible] |
| 10.ლაციო | 15 | 6 | 3 | 6 | 16-16 | 21 |
| 11.ტორინო | 15 | 5 | 5 | 5 | 13-16 | 20 |
| 12.ფროზინონე | 15 | 5 | 4 | 6 | 20-24 | 19 |
| 13.ლეჩე | 15 | 3 | 8 | 4 | 17-20 | 17 |
| 14.ჯენოა | 15 | 4 | 3 | 8 | 15-20 | 15 |
| 15.სასუოლო | 15 | 4 | 3 | 8 | 22-28 | 15 |
| 16.კალიარი | 15 | 3 | 4 | 8 | 15-27 | 13 |
| 17.უდინეზე | 15 | 1 | 9 | 5 | 12-25 | 12 |
| 18.ემპოლი | 15 | 3 | 3 | 9 | 10-27 | 12 |
| 19.ვერონა | 15 | 2 | 5 | 8 | 13-22 | 11 |
| 20.სალერნიტანა | 15 | 1 | 5 | 9 | 11-30 | 8 |

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ჟილ ვისენტე-მორეირენშე ........ 1:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-რიზე ........ 1:1
ქონია-სივასი ........ 0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კალეიდოსკოპი

# თაღლითმა მასზე შეყვარებულ გოგონას სოლიდური თანხა გამოსტყუა

სინგაპურელ გოგონას თაღლითი შეუყვარდა და ამის შედეგად 60 ათასი სინგაპურული დოლარის გარეშე დარჩა.

28 წლის გოგონამ გვარად ბაიმ თაღლითი მამაკაცი გაცნობის გვერდზე გაიცნო. მამაკაცმა სახელად კორიმ სწრაფად მოახერხა გოგონას ნდობის მოპოვება. ის მას ყოველდღე ურეკავდა და საკუთარ ცხოვრებაზე მოუთხრობდა.

– მან მითხრა, რომ პრესტიჟული ამერიკული უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და სინგაპურში მსხვილ აუდიტორულ კომპანიაში მუშაობდა, – განაცხადა გოგონამ.

გარკვეული დროის შემდეგ გოგონა მუდმივად აწარმოებდა მამაკაცთან მიმოწერას და ფოტოსურათებს უგზავნიდა. მისი თქმით, კორი მეტად სასიამოვნო პიროვნებად მიაჩნდა და მასზე ზრუნვას იჩენდა, თუმცა, რატომღაც მასთან პირისპირ შეხვედრას გაურბოდა.

მოგვაიანებით კორი გოგონას კერძო ვებ-გვერდის შესახებ ესაუბრა, რომლის დახმარებითაც მას თითქოსდა წარმატებულ საინვესტიციო სქემაში შეეძლო ჩართულიყო. თაღლითმა ბაი დაარწმუნა, თანხა ვებ-გვერდზე გადაერიცხა და მანაც სამი ათასი დოლარი გადარიცხა. მეორე დღეს მან ათი პროცენტის მოგება მიიღო და წარმატებით განათავსა ფული საკუთარ ანგარიშზე.

– მოგვაიანებით კიდევ 30 ათასი დოლარი ჩავდე ინვესტიციაში, კორიმ კი მითხრა, რომ მან 60 ათასი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. საერთო ჯამში ორივემ 90 ათასი დოლარი დავაბანდეთ, რომელიც მეორე დღეს 110 ათასამდე გაიზარდა, – განაცხადა ბაიმ.

ბაიმ ფულის გამოტანა გადაწყვიტა, მაგრამ მალე მისი ანგარიში გაყინული აღმოჩნდა. ამის შემდეგ გოგონამ მხარდაჭერის ჯგუფს მიმართა. მას კი უთხრეს, რომ მის ანგარიშზე 83.160 დოლარი უნდა ყოფილიყო, რათა მას ანგარიშის გახსნის მოთხოვნით განცხადება შეეტანა. სასოწარკვეთილმა ბაიმ ოთხი კრედიტი აიღო და კიდევ 30 ათასი დოლარი გადარიცხა, ხოლო დანარჩენი თანხის მეგობრისგან სესხებას აპირებდა, თუმცა, მას დაქალმა ურჩია, რომ მომხდარის შესახებ მშობლებისთვის მოეყოლა. როდესაც დედმამამ ქალიშვილის მონაყოლი მოისმინეს, ურჩიეს, დაუყოვნებლივ პოლიციისთვის მიემართა.

გოგონას აღიარებით, თავდაპირველად არ სურდა მშობლების რჩევისთვის ყური ეგდო, მაგრამ მათ სისწორეში თავადვე დარწმუნდა მას შემდეგ, როდესაც კორი მას აღარ პასუხობდა. ამის შემდეგ გოგონამ პოლიციას განცხადებით მიმართა. საქმეზე გამოძიება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

● ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი, პრაქტიკა 50-წლიანი. „იადიგარ დაუდი“ იყო მეფეთ-მეფის შვილი, მეფე ექიმი, მეცნიერი, მკვლევარი დავით ბაგრატიონი (ნახეთ სოციალურ ქსელში), აღიარებდა 4 სახის მედიცინას. მე ავირჩიე ხალხური და მაგიური მედიცინა, წიგნი „იადიგარ დაუდი“ და მასში მოყვანილი მაგიური მკურნალობა შემაყვარა დედამ, ალა მერებაშვილმა, მას კი თავისი მაგისგან დავით მერებაშვილისგან გადმოეცა, რომელიც XVIII საუკუნეში ძლიერ ექიმად ითვლებოდა თიანეთის რაიონში. რასაც გთავაზობთ, ეს მაგიური მედიცინაა, უწამლოდ. სიტყვა „მაგია“ ნიშნავს სასწაულს, საოცრებას. ამ საოცრებას ვახდენ ფოტოსურათით: აგრესია, აკვიატება, დეპრესია, ეჭვიანობა, შებოჭილობა, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება, ბავშვებში სასქესო ორგანოს ზრდის შეჩერება, მოზარდებში დაუმორჩილებლობა, დაუდგენელი დიაგნოზის დაავადებები, რაც გამოწვეულია შავი ძალებით (მაგ. სექსუალური დარღვევები, უშვილობა), მოძალადის დაწყნარება ან ჩამოცილება, ურთიერთობის პრობლემები და კიდევ ბევრი რამ. მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №57. მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, ოფისი 777. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება სატელეფონო საუბრის შემდეგ, ნებისმიერ დღეს.

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვანკისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# დელტა ლიდერობს, დებიუტანტები ყოჩაღობენ

### დელტა-მარგვეთი 99:66
(28:23; 18:20; 27:8; 26:15)

გურჯაანელებმა ზესტაფონის მარგვეთს უმასპინძლეს და 99:66 იმარჯვეს. მიმდინარე სუპერლიგაში გუნდების ძალთა თანაფარდობა იმდენად თანაბარია, 30-ქულიანი სხვაობით თამაშები იშვიათი გამონაკლისების გარდა, ფაქტობრივად, არ მთავრდება. დელტამ კი მარგვეთი 33 ქულით დაამარცხა, რითაც, ისედაც პირველზე მყოფმა, ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა.

პირველი ტაიმის შემდეგ ვერაფრით იტყოდით, რომ შეხვედრა ამხელა სხვაობით დასრულდებოდა. მართალია, დელტამ პირველი პერიოდი მოიგო, მაგრამ მეორე ათწუთეულში ზესტაფონელებმა უკეთ ითამაშეს და ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს – 46:43 დელტას სასარგებლოდ.

დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე თითქოს სხვა გუნდები გამოვიდნენ. დელტას მოთამაშეებმა რაც დაგეგმეს, ყველაფერი შეასრულეს. ათწუთეული გურჯაანელებმა 27:8 მოიგეს, ბოლო მეოთხედის წინ 22 ქულით დაწინაურდნენ და მატჩის ბედი გადაწყვიტეს.

სპორტული ინტერესისგან დაცლილ ბოლო პერიოდში ადგილობრივი გულშემატკივრების ქომაგობით შეგულიანებულმა გურჯაანელებმა უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს და დამსახურებული გამარჯვება მიითვალეს.

დელტაში სარგებლიანობით საუკეთესო ტერი კოლინსი იყო – 16 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი, 4 ჩაჭრა; 24 ქულით ბომბარდირი ოთარ ფხაკაძე გახდა; ჯარვის რეიმ 14 ქულა მიითვალა; ზესტაფონის გუნდში 19 ქულითა და მისთვის მცირე 7 მოხსნით ტაიშონ კროუფორდი გამოირჩა; 14 ქულა და 7 მოხსნა მარტი ჯექსონმა მოაგროვა.

### ბათუმი-გაუ 76:85
(21:21; 23:26; 16:20; 16:18)

აჭარაში ჩასულმა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გუნდმა გაუ-მ ბათუმი 85:76 დაამარცხა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მოკალათდა.

ბათუმსაც და გაუ-საც 4 მოგების წილ 3 მარცხი ჰქონდათ, ცხრილში გვერდიგვერდ იყვნენ და მოგება ჰაერივით სჭირდებოდათ. რაკი მასპინძელი იყო, ბევრი ფავორიტად ალბათ ბათუმს მიიჩნევდა, მაგრამ დავით როგავას გაწვრთნილმა გუნდმა მორიგი მძლავრი მატჩი ჩაატარა. ბათუმელთა მცდელობამ, როგორმე რამე შეეცვალათ, ვერაფერი გამოიღო.



გაუ-მ ლიდერობა თავიდანვე მოიპოვა და თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდა. 2-3, ხან 4-7 ქულით გაუ გამუდმებით წინ იყო. ბუბა ბერიშვილი წუთშესვენებებს იღებდა, ტაქტიკას ცვლიდა, მაგრამ სტაბილურად მოთამაშე მეტოქეს, უფრო კი მათ ლეგიონერებს, ვერაფერს აკლებდა. გაუ-ს ერთ-ერთი მძლავრი კოზირი ისაა, რომ ამ გუნდს ტოლძალოვანი ლეგიონერები ჰყავს. გუნდის ყველა უცხოელს შეუძლია მატჩის გმირი გახდეს და ხან ერთი, ხან მეორე, ხან კი ორი ან სამი ერთად გამოიჩენს ხოლმე თავს და შედეგიც სახეზეა – გუნდი ლიდერთა შორისაა და ეს ამ გუნდის დაბალანსებულად შერჩეული შემადგენლობისა და გამართულად თამაშის შედეგია.

მთელი თამაში ისე გაილია, ბათუმის მცდელობა, გაუ-ს დასწეოდა, მცდელობადვე დარჩა. როგავას გუნდმა დამაჯერებლად შეინარჩუნა ბოლო წამებამდე ლიდერობა და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

გაუ-ს რიგებში ამჯერად ენდრიუ ლუისი გამოირჩა, რომელმაც 28 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი მიითვალა; 17 ქულა და 9 მოხსნა აიზია სმოლის ანგარიშზეა; გასული სეზონის აღმოჩენამ, მიქაელ უგრეხელიძემ 14 ქულა, 5 მოხსნა და 4 ჩაჭრა მიითვალა; ბათუმელთა რიგებში 20 ქულით, 9 პასითა და 6 მოხსნით საუკეთესო იყო გაუ-ს მთავარი მწვრთნელის ძმა, რევაზ როგავა; 12 ქულა, 6 მოხსნა და 3 პასი ლუკა კალატოზიშვილმა მიითვალა.

### კავკასია-რაში 94:93 (ოტ)
(27:16; 21:16; 15:30; 19:20; 12:11)

მატჩი უაღრესად დაძაბული, საინტერესო და დრამატული გამოდგა. დათმობა არც კავკასიას სურდა და არც რაშს – თითქოს ამის გამოც იყო, რომ შეხვედრის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა და შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა. ახლოს იყო მეორე ოვერტაიმიც, მაგრამ კავკასიამ მინიმალური სხვაობით – 94:93 იმარჯვა და მოგებ-წაგებები გაითანაბრა.

შეხვედრა ზუსტად ისეთი დაძაბული გამოდგა, როგორიც სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით ეკუთვნოდა. ორივე გუნდს თანაბარი მოგებ-წაგება (3/4) ჰქონდა, ცხრილში გვერდიგვერდ იყვნენ. შესაბამისად, გამარჯვება ორივეს ჰაერივით სჭირდებოდა, რათა შედარებით მძიმე სტარტის შემდეგ წელში გამართულიყო.

რაში დებიუტანტია და გასულ 7 მატჩში 3 მოგება ჰქონდა მოპოვებული, რაც ცუდი შედეგი არაა. აი, კავკასიისთვის სუპერლიგის 3 წაგებით დაწყება ნამდვილი ჩავარდნა იყო და გუნდის შემადგენლობაში, ისევე, როგორც მწვრთნელთა შტაბში, ძირეული ცვლილებები მოხდა. რომ არაფერი ვთქვათ მწვრთნელისა და ორი ლეგიონერის ცვლილებაზე, კავკასიელებმა ამ მატჩშიც ახალწვეული ათამაშეს. წინა სეზონში კავკასიის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ბექა წივწივაძის გუნდს ბრინჯაოს მედლის მოპოვებაში დიდად დაეხმარა, ისევ ჩამოვიდა. ჯასტინ ფორესტმა შედეგიანობით თავი ვერ გამოიჩინა (მხოლოდ 5 ქულა ჰქონდა), მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მოედანზე იდგა და კავკასიელებს მოგებაში ხელი შეაშველა.

რაშის გუნდის წევრთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეორე პერიოდის მიწურულს, 18 ქულით ჩამორჩენის მიუხედავად, არ გატყდნენ და დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე მოსაგებად შემართულები დაბრუნდნენ. მესამე პერიოდში მომხდარ კონფლიქტს ორივე გუნდის წამყვანი მოთამაშეების გაძევება მოჰყვა: კავკასიას ნიკოლოზ გაფრინდაშვილი გამოაკლდა, რაშს – ევან მილიგანი. მათთან ერთად სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე შესული ორივე გუნდის მოთამაშეებსაც დაატოვებინეს დარბაზი.

მესამე პერიოდი რაშმა 30:15 მოიგო, ჩამორჩენა ქულამდე შეამცირა და ბოლო პერიოდში წინაც გავიდა. ის კი არა, რაში ორჯერ ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან: ერთხელ ძირითადი დროის, ხოლო მეორედ – ოვერტაიმის ამოწურვამდე წამებით ადრე. პირველ შემთხვევაში სირენამდე 2.2 წამით ადრე ლევან გოგიჩაიშვილმა გამთანაბრებელი ორქულიანი ჩააგდო და ძირითადი დრო 82:82 დასრულდა, ხოლო მეორე შემთხვევაში ამერიკელმა გრეგ ფარჰემმა ოვერტაიმის ამოწურვამდე 1.2 წამით ადრე გამარჯვების ორქულიანი ჩააგდო – 94:93.

გამარჯვებულთაგან 23 ქულითა და 8 პასით საუკეთესო იყო ლუკა მაზიაშვილი; 17 ქულა ლევან გოგიჩაიშვილმა მოაგროვა; გამარჯვების ბურთის ჩამგდებმა ფერჰემმა თავი 15 ქულას და 6 მოხსნა მოუყარა; რაშის შემადგენლობაში 20 ქულით, 7 მოხსნით და 5 პასით ენტონი ელსტონი გამოირჩა; ვახტანგ გაფრინდაშვილმა შეხვედრა 21 ქულით დაასრულა.

### ორბი-ქუთაისი 98:88
(23:25; 28:27; 24:17; 23:19)

იმერული დერბი ტყიბულის სავსე დარბაზში, ადგილობრივი გულშემატკივრების ემოციური ქომაგობის თანხლებით წარიმართა. ირაკლი ტომარაძის განწვრთნილმა ორბმა საამაყო გამარჯვება მოიპოვა. სუპერლიგის დებიუტანტმა ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი გუნდი დაამარცხა. ტყიბულელთათვის ეს მიმდინარე სეზონში მე-3 გამარჯვება იყო და ამ შედეგით ორბი რუსთავსა და რაშს გაუთანაბრდა.

რაც შეეხება ქუთაისს, კოტე ტუღუშის განწვრთნილ გუნდს სამმატჩიანი წარუმატებელი სერია აქვს. ქუთაისელებმა წინა ტურში საშინაო შეხვედრა კავკასიასთან დათმეს, მის წინ კი გორში, ივერიონთანაც დამარცხდნენ. მიჯრით წაგებული სამი მატჩი ამბიციური ქუთაისისთვის მიუღებელი შედეგია.

თუკი კავკასიასთან წინა ტურში ტუღუშის გუნდს მოგება ხელიდან ბოლო წამებზე გამოეცალა, ტყიბულში ასე არ ყოფილა. თანაბრად მიმდინარე მატჩის კვანძი ბოლო პერიოდში გაიხსნა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მატჩის შედეგის განსაზღვრაში უდიდესი როლი ითამაშა ტყიბულელთა ამერიკელი ლეგიონერის, ჯონ ნეიგლის სიზუსტემ.

ნეიგლი სასტარტო ხუთეულში იყო და თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტიც ითამაშა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მისი მოედანზე ბოლო პერიოდში გამოჩენა იყო. ნეიგლი მოედანზე მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე დაუბრუნდა და 4 წუთის მანძილზე 2 საჯარიმო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 2 სამქულიანი ჩააგდო. მის სამიანებს შორის შორი სროლა ჩააგდო რაიან ჰოლანდმაც და მატჩის დასრულებამდე ორწუთ-ნახევრით ადრე ორბი 93:85 დაწინაურდა.

ეს გამარჯვებას ნიშნავდა და ტყიბულელებმა დარჩენილი დრო სტრატეგიულად გამართულად ჩაამთავრეს და შეხვედრა 98:88 მოიგეს.

ორბში საუკეთესო შედეგი რაიან ჰალანდმა დააფიქსირა, რომელმაც 35 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა; ნეიგლის ანგარიშზე 21 ქულა დაგროვდა; კენი კუპერმა 16 ქულა მოაგროვა, ხოლო მაიკლ ედვარდსმა – 14; ქუთაისელთაგან საუკეთესო გიორგი კორსანტია იყო – 23 ქულა, 7 მოხსნა; მარქუს გილსონმა 18 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა.

### ივერიონი-რუსთავი 103:78
(24:14; 27:26; 23:24; 29:14)

დებიუტანტმა ივერიონმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილმა შიდა ქართლის გუნდმა ქვემო ქართლის წარმომადგენელი რუსთავი 103:78 დაამარცხა. გორელებმა ბოლო პერიოდი 15 ქულით მოიგეს და თავიანთ გამარჯვებას შთამბეჭდავი, სახე მისცეს.

სუპერლიგის დებიუტანტმა ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ტიტულიანი გუნდი დაამარცხა. გორელებს მიმდინარე სეზონში 3 გამარჯვება აქვთ და ყველა მათგანი შინ, თან სულ რჩეულ, ამბიციურ გუნდებთან მოიპოვეს. შიდაქართლელებმა გორის სპორტის სასახლეში კავკასია, ქუთაისი და რუსთავი იმსხვერპლეს.

თავის მხრივ, რუსთაველებისთვის ეს უმძიმესი მარცხი იყო. ანატოლი ბოისას გაწვრთნილ გუნდს ჩავარდნა აქვს – ქვემოქართლელებმა ბოლო 4 მატჩი (თსუ-სთან, გურჯაანთან, ბათუმსა და ივერიონთან) წააგეს და სუპერლიგის სტარტზე ფავორიტად წარმოჩენილები ცხრილის ქვედა ეშელონში დაქვეითდნენ.

გორელთა რიგებში შეუჩერებელი იყო გეგი ბაქრაძე, რომელმაც 26 ქულა და 13 მოხსნა მოაგროვა; 22 ქულით, 5 მოხსნით და 9 პასით კვენტინ ჰარდრიქტი გამოირჩა; გივი ბაქრაძის ანგარიშზე 7 ქულა და 11 პასი დაგროვდა; რუსთაველთაგან 29 ქულით საუკეთესო იყო ლევან ბაბილოძე; 19 ქულა დემარი კინგის ანგარიშზეა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.დელტა | 9 | 7 | 2788-671 | 16 |
| 2.გაუ | 8 | 5 | 3723-704 | 13 |
| 3.კავკასია | 8 | 4 | 4682-704 | 12 |
| 4.ქუთაისი | 8 | 4 | 4745-728 | 12 |
| 5.ბათუმი | 8 | 4 | 4659-659 | 12 |
| 6.თსუ | 6 | 5 | 1530-503 | 11 |
| 7.რაში | 8 | 3 | 5709-734 | 11 |
| 8.რუსთავი | 8 | 3 | 5723-753 | 11 |
| 9.ორბი | 8 | 3 | 5709-741 | 11 |
| 10.ივერიონი | 7 | 3 | 4574-575 | 10 |
| 11.მარგვეთი | 8 | 2 | 6703-773 | 10 |

# ბითაძემ სეზონის რეკორდი გაიმეორა და მწვრთნელმა შეაქო



ნბა-ში მორიგი მატჩები გაიმართა. ითამაშა ორივე ქართველის გუნდმა და როგორც მოსალოდნელი იყო, ისე დასრულდა.

გოგა ბითაძის ორლანდო მეჯიქმა კლივლენდთან 104:94 მოიგო და ამაში ჩვენებურის წვლილიც დიდია – 15 ქულა, 7 მოხსნა, 4 დაფარება და 2 პასი.

ბითაძემ მოედანზე 29 წუთი დაჰყო, რა დროშიც რვა ორქულიანიდან ექვსი ჩააგდო, ხოლო ოთხი საჯარიმოდან სამი გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ 15 ქულა ბითაძისთვის ამ სეზონში რეკორდის გამეორებაა. თუმცა, ჩვენებური განსაკუთრებით კარგად ირჯებოდა დაცვაში და ამაზე ოთხი დაფარებაც მეტყველებს.

16 მოგებითა და 7 მარცხით ორლანდო აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-2 ადგილს მილუოკისთან იყოფს. პირველზე ბოსტონია, რომელთანაც ორლანდო მორიგ მატჩს გამართავს სტუმრად, 15 დეკემბერს.

ფლორიდელთა მთავარმა მწვრთნელმა ჯამალ მოსლიმ ბითაძის თამაშით კმაყოფილება ვერ დაფარა და აღნიშნა, რომ ქართველი წინა პლანზე გუნდის ინტერესებს აყენებს.

ჯამალ მოსლი:

– გოგამ ფანტასტიკურად ითამაშა. აქვს საოცარი უნარი, ყველა მომენტში ბოლომდე დაიხარჯოს, საჭირო დროს კი თანაგუნდელი მოძებნოს, რომელიც უკეთეს სიტუაციაშია. ჩინებულად გამოიყურება საკუთარი ფარის დაცვისას და პიკ ენდ როლის დაყენებისას. შეტევაში კი, უბრალოდ, იმას იღებს, რასაც თამაში აძლევს. თანაგუნდელებს მაგრად ეხმარება, ბურთს სწრაფად გასცემს, სწორ გადაწყვეტილებებს იღებს... იგივე პიკ ენდ როლს ისე აყენებს, რომ სულაც არაა დარწმუნებული, ბურთს მიიღებს თუ – არა. თუმცა, ის იცის, რომ ამ მოქმედებით გუნდს სარგებელს მაინც მოუტანს. გოგა არ არის ეგოიზმით გამორჩეული მოთამაშე, საერთო შედეგისთვის მუშაობს და ეს უკვე მატჩიდან მატჩამდე გრძელდება.

ისევ წააგო სან ანტონიომ. გრეგ პოპოვიჩის გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ მე-16 მარცხი განიცადა – ამჯერად, ჰიუსტონთან (82:93).

განვითარების ლიგიდან გუნდში მობრუნებულ სანდრო მამუკელაშვილს კი, ისევ მცირე დრო მიეცა. ჩვენებურმა 3:47 წუთში მხოლოდ ერთი მოხსნისა და ერთი პერსონალური ფოლის აღება მოასწრო.

სან ანტონიო დასავლეთ კონფერენციის ბოლოადგილოსანია და მომდევნო მატჩს 14 დეკემბერს შინ, ლოს ანჯელეს ლეიკერსთან ითამაშებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ძველბერძენი მოქანდაკე, ნეფერტიტის ბიუსტის ავტორი; 2. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 3. მდინარე აშშ-ში; 4. ორგანიზმის ცვალებადობისა და მემკვიდრეობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. პირფერული ქება; 8. მკურნალობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. გონებასუსტი ადამიანი; 16. მოედანი პარიზში; 17. ხილის წვენებით მომზადებული ტკბილი აღმოსავლური სასმელი; 19. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 20. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 5. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 6. პრეზიდენტის სასახლე რომში; 9. შტატი აშშ-ში; 10. უნებლიე შეცდომა; 11. პორტატიული გეოდეზიური ხელსაწყო; 13. მომღერალი, პოეტი-მუსიკოსი შუა აზიაში; 15. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 21. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 22. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი ორნითოლოგიის ნაწილი; 23. ტაძარი ქუთაისში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1, რევანში; 2. კრკა; 3. გირჩი; 4. ენეიდა; 6. ფაგოციტი; 9. მყვარი; 13. ლახვარი; 14. კაბერნე; 15. აწყური; 17. ვოლვო; 18. კურსი; 20. ყაჭი.

**თარაზულად:** 1. რეკორდი; 5. ვერფი; 7. ჰილტონი; 8. ვაკუუმი; 10. მანგო; 11. ჩაქვი; 12. აკვანი; 16. შამოტი; 17. ვისკი; 19. ხალი; 21. წულაძე; 22. კვაისა; 23. ფიზიკა; 24. სედანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბარბერი; 2. პანეში; 3. ვალენიტი; 4. სინკლიტი; 7. ბანდერასი; 8. ვატერლოო; 12. ტაშკენტი; 14. ასათიანი; 16. კალანდა; 17. მერდინი; 19. ზებუ; 20. არია;

**თარაზულად:** 5. ნაფტუსია; 6. ტრაიდენტი; 9. კეხანა; 10. შამანი; 11. იტილი; 13. ვალსი; 15. ასკანა; 18. კაკაო; 21. რაიკონენი; 22. ნეკრესი; 23. ყუმბარა.

ახალი თაობა
akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 დეკემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6734 |
| ევრო | — 2.8886 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.3626 |
| 100 რუსული რუბლი | — 2.9673 |

**ამინდის პროგნოზი 13 დეკემბრისათვის**




# ვიქტორ ოსიმენი, სავარაუდოდ, ნაპოლიში დარჩება



ნაპოლის ფორვარდი ვიქტორ ოსიმენი დიდი ალბათობით ნაპოლიში დარჩება და ის გუნდთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოსიმენის ანაზღაურება საგრძნობლად გაიზრდება და ის დაახლოებით 10 მილიონი იქნება წელიწადში.

ოსიმენის მთავარი მოთხოვნა ხელფასის გაზრდა იყო და თუ მას ამ სურვილს შეუსრულებენ, მაშინ ის დიდი ალბათობით გუნდში დარჩება.

# რობერტ ლევანდოვსკი: „მხოლოდ წინ უნდა ვიყუროთ"



ბარსელონას პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ ჟირონასთან მარცხის შემდეგ თქვა, რომ ბარსელონამ მხოლოდ წინ უნდა იყუროს და მომავალ შეხვედრებზე იფიქროს. ლევანდოვსკის აზრით, ბარსელონას შეუძლია ესპანეთის ჩემპიონატის მოგება:

– საკმაოდ მძიმე მარცხი განვიცადეთ ჟირონასთან და ეს სატურნირო ცხრილზე აისახა. მიუხედავად ამისა, ბარსელონას აქვს პოტენციალი და ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მომავალზე ფიქრი. მჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია ესპანეთის ჩემპიონატის მოგება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# დემნამ ჩანთა-ფეხსაცმელი გამოუშვა



ქართველი დიზაინერი დემნა მსოფლიოს გაოცებას აგრძელებს. მან ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელი ჩანთებად აქცია და მოდის მოყვარულებს წარუდგინა.

დემნას სიახლე პირველმა, რა თქმა უნდა, კიმ კარდაშიანმა აიტაცა და ერთ-ერთ წვეულებაზე სწორედ დემნას მიერ შექმნილი ჩანთა-ფეხსაცმლით გამოჩნდა.

ქართველმა დიზაინერმა ქალებისთვის კლასიკური – ქუსლიანი ფეხსაცმლისგან დაამზადა ჩანთები, ხოლო მამაკაცებისთვის – ბოტასებისგან.

# ოთარ ჭილაძის ხსოვნის საღამო მწერალთა სახლში გაიმართა

მწერალთა სახლში ოთარ ჭილაძის ხსოვნის საღამო გაიმართა. ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ვიდეომასალა უჩვენეს.



ოთარ ჭილაძის რომანები „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან", „რკინის თეატრი", „მარტის მამალი", „აველუმი", „გოდორი" მკითხველს გამორჩეულად უყვარს. მისი ლექსები, პოემები და დოკუმენტური პროზა კი ქართულ ლიტერატურაში გამორჩეულ ადგილს იკავებს.

ოთარ ჭილაძის ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნება. მისი შემოქმედებისადმი მსოფლიო საზოგადოებრიობის ინტერესის დასტურია ის, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩეხეთის პენ-კლუბის მიერ ოთარ ჭილაძე წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე, ხოლო 1999 წელს მწერალი დასახელდა ნობელის პრემიის ნომინანტთა სიაში, 5 სხვა მწერალთან ერთად.

მწერალსა და პოეტს მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია, შოთა რუსთაველის სახელობის პრემია, ილია ჭავჭავაძის და ალექსანდრე ყაზბეგის პრემიები.

ოთარ ჭილაძე 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

# ირაკლი კობახიძემ „ჩემი ცოლის დაქალები" ბავშვთა გეი პროპაგანდაში დაადანაშაულა

„ფორმულა კრეატივის" სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" „ქართული ოცნების" თავმჯდომ რემ ირაკლი კობახიძემ ბავშვთა გეი პროპაგანდაში დაადანაშ ულა.

ინფორმაცია „ჩემი ცოლის დაქალების" სცენარისტმა ქ ი დევდარიანმა გაავრცელა:

– ვინც ჩცდ-ს უყურებს, იცის, რომ კატოს და სოსოს ურ თიერთობა, ყვირილი, ჩხუბი და ტოქსიკური ურთიერთდამოკიდებულება უარყოფითად აისახა კატოს შვილზე, პირველკლასელ მოსწავლეზე. მასწავლებელი კატოს ეუბნება, რომ ბავშვი ფსიქოლოგთან არის მისაყვანი, რადგან ბიჭებისგან საჩუქრის ალების ეშინია, ჯერ რაღაცას გაჩუქებენ და მერე გცემენო. ნიაკო დედასაც ეუბნება, რომ არავინ არ უყვარს და გოგოებთან მეგობრობს, რადგან ბიჭები ცუდები არიან.




ხოდა, პერვერტმა ირაკლი კობახიძემ პარლამენტში ჩვენ ჟურნალისტს უთხრა, რომ ჩვენი ტელევიზია და ჩცდ ბავშვთა გეი პროპაგანდას ეწევა.

ასე რომ, იცოდეთ, ახლა გამოჩნდება „გამწარებული მაყურებელი" (როგორც ეს ბროკოლისა და კვარაცხელიაზე გააკეთეს) და დაიწყებს ფეკალიების სროლას ჩვენი მიმართულებით.

ეს არის ირაკლი კობახიძის თავში მომწიფებული და გაცემული დავალება, რომელსაც მერე დებილები უნდა აყვნენ.

# მწერალი ზურაბ ქარუმიძე გარდაიცვალა

66 წლის ასაკში ლიტერატურული პრემიების „საბასა" და „ლიტერას" მფლობელი მწერალი ზურაბ ქარუმიძე გარდაიცვალა.

შემოქმედი წლების განმავლობაში მუშაობდა XX საუკუნის ლიტერატურის კვლევის ცენტრში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იყო ფულბრაიტის მოწვეული მკვლევარი, უისკონსინ-მილვოქის უნივერსიტეტში, სადაც პოსტმოდერნულ ამერიკულ მეტაპროზას სწავლობდა.

ზურაბ ქარუმიძის 2 მოთხრობა, რომლებიც ავტორმა თავად თარგმნა ინგლისურად, გამოქვეყნდა ამერიკაში.

მწერალი რედაქტორობდა საქართველოში გამოცემულ ინგლისურენოვან ჟურნალებს „საქართველო/კავკასიის პროფილი" და „კავკასიის კონტექსტი".

ჯეიმზ ვერჩთან ერთად, ზურაბ ქარუმიძე იყო თანარედაქტორი წიგნისა „კმარა: ვარდების რევოლუცია საქართველოს რესპუბლიკაში". წერდა ესეებს კულტურასა, კოლექტიურ მახსოვრობასა და ეროვნული ნარატივების შესახებ.

**მანანა დუმბაძე:**

– ჩემი უზომო გულისტკივილი. ჩემი ზურა. მშვიდობით ძმაო. ძალიან მომენატრები. ის მანუგეშებს მხოლოდ, რომ ყოველთვის ვიცოდი შენი ფასი, ყოველთვის მქონდა შენი იმედი და ყოველთვის ვამაყობდი იმით, რომ 1994-ში ერთად გავხდით საქართველოში პირველი „ფულბრაიტელები" – „ატლანტიკის ოკეანე დალეულები". ეს დიდი პატივი და პრივილეგია იყო. მოიწყენს ქვეყანა უშენოდ!

**გიორგი კეკელიძე:**

– გარდაიცვალა ბრწყინვალე მწერალი და დიდი ინტელექტუალი ზურაბ ქარუმიძე. გარდა შესანიშნავი რომანებისა, სრულიად დაუვიწყარია მისი ვირტუოზული ნიმუში მუსიკის და სიტყვის შენივთების – „ჯაზის ცხოვრება", ამგვარ ამბებზე ასე წერა მხოლოდ კორტასარს თუ შეეძლო. ეს მასშტაბია. ძალიან ვწუხვარ.

**მიხო მოსულიშვილი:**

– 2012 წელია და ზურას ვხვდები უცებ, სახელდახელოდ. მეთქი, ზურა, შენი შარშან დაწერილი „დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი" წავიკითხე. ერთ საიტზე იდო, იქიდან გადავიწერე და ისე. მართლაო, – უკვირს, – მართლა წაიკითხეო? ინგლისურადო? შენ ხო იცი, როგორი გაჭირვებული ინგლისურიც ვიცი, მაგრამ რაც გავიგე, – მაგარ! თან სჯერა, თან ეეჭვება ცოტაც. და მეთქი, ხო იცი, დამაინტერესებდა ძალიან და შენ რომ მანდ ვაჟა-ფშაველა გამოიყვანე, ზუსტად ეგ არი. ჰოო? ვახ, კი მეთქი, კი! აბა რა! შენ ხო მაგისი ბიოგრაფია დაწერე და ვაჟაზე რომ მაგას მეტყვი, მართლა კაია მაშინო. მარტო ვაჟათი კი არა, თავისი გურჯიევიან-სტალინიანად და დაგნიანად და ყველა დანარჩენებიანად მაგარია-მეთქი. გაიხარე, გაიხარეო, მე მიბარებს და თავად არის გახარებული. აი, ეგეთი გახარებული ზურა მაგონდება ჩვენი მრავალგზისი შეხვედრებიდან. და დიდი ტკივილიც აქვეა, რომ ნაადრევად და მოულოდნელად წავიდა მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების გასაყარის ერთი საუკეთესო მწერალი და ნამდვილი კულტურტრეგერი, ჯაზისა და ჯოისის აქცენტებით.

**დავით ზურაბიშვილი:**

– მთელი ბნელი და ცივი 90-იანები ერთად გამოვიარეთ. რა დამავიწყებს მის ბინაში, ატენის ქუჩაზე გატარებულ დღეებს, როცა გარეთ შეიარაღებული ბანდები დათარეშობდნენ და ჩვენ კი ლიტერატურულ ალმანახზე ვმუშაობდით: ზურა ქარუმიძე, გია ჭუმბურიძე და თქვენი მონა-მორჩილი. ვკამათობდით ლიტერატურაზე, ლიტერატურულ პროცესზე, ვწერდით, ვარედაქტირებდით და ვთარგმნიდით, ხან რა და ხან რა ალკოჰოლური საწვავით შეხურებულები. ხოლო როცა საწვავი თავდებოდა, იღებოდა ოთახის კარი და ზურას მამის, ცხონებული ლევან სერგეიჩის ჯადოსნური ხელი ახალ ბოთლს დგამდა, თითქოს ალბერტ მაგნუსის იდუმალი მსახური ყოფილიყო.

ასე გუნდურად, ქეიფ-ქეიფ და სიცილ-ხარხარში ვთარგმნეთ, მაგალითად, უისტან ჰიუ ოდენის „ჰეროდე", მართლა ურთულესი ტექსტი. „აი, ახლა მოდის საშინელი მონაკვეთი", ამბობდა ხოლმე ზურა ყოველი ახალი წინადადების თარგმნისას, რაზედაც მე და ჭუმბურიძე სულ ვამხნევებდით, მიდი, კაცო, რა უნდა იყოს, რომ ვერ მოვერიოთო და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით წინ. ბოლოს დავბეჭდეთ კიდეც ჩვენი ერთობლივი ნალვაწი ჩვენივე შედგენილ ალმანახში „ახალი დროება", სტეფანოზ ბლუმის ფსევდონიმით. ეს



ფსევდონიმიც ზურამ მოიგონა, როგორც ჯოისის თაყვანისმცემელმა, სტივენ დედალოსის ქართიზებული სახელით და ლეოპოლდ ბლუმის გვარით. ასე რომ, სამომავლოდ, სადმე ლიტერატურის ისტორიაში თუ ამოტივტივდება ეს სახელი და გვარი, სასურველია იცოდეთ, რომ მის უკან რეალურად სამი ადამიანი დგას.

ზურა ქარუმიძე ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ადამიანი იყო, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია. მრავალმხრივ განათლებული ინტელექტუალი, შესანიშნავი მწერალი, სიტყვის ნამდვილი ოსტატი, რომლის სტილი და მანერა, თუ ერთხელ მაინც წაკითხული გაქვს მისი ალუზია-რემინესცენციებით და ქვეტექსტებით სავსე ოპუსი, შეუძლებელია სხვა ავტორში აგერიოს. ჰქონდა აბსოლუტური მუსიკალური სმენა და თავადაც უკრავდა გიტარასა და როიალზე. ყველანაირი მუსიკა ლამის პროფესიონალურად ესმოდა და უყვარდა: ბახი, იტალიური ოპერები, როკი, აღარაფერს ვამბობ ჯაზზე, რასაც დიდებული „ჯაზის ცხოვრება" უძღვნა, მართლაც ჯაზური ექსპრესიით დაწერილი და რომლის წაკითხვით ისიც კი ისიამოვნებს, ვინც მანამდე ამ მუსიკას დიდად არც უსმენდა.

არც ვიცი კიდეც რა ვთქვა, უფრო სწორად, არ ვიცი, რა არ ვთქვა იმ ადამიანზე, ვისთანაც ათწლეულებია მეგობრობა და ახლობლობა მაკავშირებს და ვისთან ერთადაც ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი მაქვს გამოვლილი. შემიძლია დაუსრულებლად გავიხსენო ჩვენი არაერთგზისი კამათი, მსჯელობა, ღლიცინი, მხიარულება და ა.შ. და ა. შ. ეს ყველაფერი ხომ ნამდვილად იყო და ჩვენი ცხოვრების ნაწილია, რომელიც მის სიცოცხლესთან ერთად არ მთავრდება. მისი მოგონებები, მისი აზრები, მისი წიგნები მისი სიკვდილის შემდეგაც იცოცხლებენ და ეს, როგორც თვითონ იტყოდა, მისი მეორე სიცოცხლე იქნება. ერთგვარად ბანალური, თუმცა იმავდროულად პოსტმოდერნული. ნახვამდის, მეგობარო. შეხვედრამდე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. ჰოლივუდის ზანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 6. სტუმრების მისაღებად დანიშნული კვირის ესა თუ ის დღე ძველად; 9. ქართული ნაციონალური კერძი; 13. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბარიტონი; 14. პირი, რომელიც სინჯავდა მეფისთვის მისართმევ საჭმელს ძველად; 15. წყლით სამკურნალო აბაზანა; 17. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 18. უსქესო, ვეგეტატიური გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 20. ლუდის გამონახარში, დანალექი.

**თარაზულად:** 1. ჟურნალ „ფლეიბოის" დამფუძნებელი; 5. მდინარე ოზურგეთში; 7. ერთ-ერთი პირველი ქართული როკჯგუფი; 8. ირანის პარლამენტი; 10. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 11. ლითონის დასამუშავებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 12. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 16. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 17. გემზე ცისტერნა თხევადი ტვირთისთვის; 19. იტალიელი მოდელიერი; 21. პენალტი ჰოკეიში; 22. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 23. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 24. რეგიონი კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*